შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.596)

17-24 აგვისტო 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საავადმყოფო „ადითს“ ჩამოერთმევა და მუნიციპალიტეტს გადაეცემა

დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი „ადითის“ მფლობელობაში არსებულ საავადმყოფოს მუნიციპალურ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს შეხვდა. გამგებელი პრობლემას მოგვარებულს უწოდებს.

როგორც ირაკლი შიოლაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, საავადმყოფოს გადმოცემის საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

„საავადმყოფოს და დედოფლისწყაროელი მედიკოსების პრობლემებთან დაკავშირებით ამ დღეებში სამუშაო შეხვედრა მინისტრთან მქონდა. საავადმყოფოს ქონებას „ადითისგან“ სახელმწიფო დაიბრუნებს და მუნიციპალიტეტს გადმოსცემს. ახლა ჩამოყალიბების სტადიაზე ვართ, უნდა შევჯერდეთ, არსებული შენობის რემონტი მოხდეს, თუ ახლის მშენებლობა. ფინანსურად რომელი ვარიანტიც უფრო მისაღები და მიზანშეწონილი იქნება იმაზე შევჩერდებით. თანხას ჯანდაცვის სამინისტრო გამოყოფს. ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, მუნიციპალური საავადმყოფო შეიქმნება. თუ რა იქნება მომავალში დედოფლისწყაროს საავადმყოფოსთან მიმართებაში, სრული სურათი, უახლოეს თვეებში გახდება ცნობილი, წლის ბოლომდე ყველაფერი დალაგდება,“ - აცხადებს გამგებელი.

შიოლაშვილი განმარტავს, რომ დედოფლისწყაროელ მედიკოსებს უკვე შეხვდა და მინისტრთან შეხვედრის დეტალებსა და სამინისტროს პოზიციაზე ინფორმაცია დეტალურად მიაწოდა.

13 აგვისტოს საავადმყოფოებთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი ჯანდაცვის მინისტრმაც გააკეთა. დავით სერგეენკოს განცხადებით, საავადმყოფოების და სამედიცინო დაწესებულებების მუნიციპალურ მართვაში მასობრივად გადასვლა არ იგეგმება. როგორც სერგეენკომ განაცხადა, სახელმწიფოს მართვაში გადავა მხოლოდ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი და რეგიონებში კომპანია „ადითის“ მართვის ქვეშ მყოფი კლინიკები.

ADITTI

პოსპიტალების ქსელი

Aditti

Hospital Network

მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ჯანდაცვის სამინისტრო, ანუ სახელმწიფო, სამედიცინო დაწესებულებების გადმოცემის პროცესს უკვე აწარმოებს.

შეგახსენებთ, გასულ კვირას დედოფლისწყაროსა და საქართველოს კიდევ რამდენიმე ქალაქში, ერთმანეთის პარალელურად „ადითის“ მედპერსონალმა პროფკავშირების ორგანიზებით ერთობლივი საპროტესტო აქცია გამართა. მედიკოსები ებრაული კომპანიის მხრიდან პირობების შეუსრულებლობაზე საუბრობდნენ და აცხადებდნენ, რომ 6 თვეა ხელფასები არ აუღიათ. კომპანიას დედოფლისწყაროში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 30 საწოლიანი საავადმყოფო 2013 წლის 1 აპრილამდე უნდა გაეხსნა.

ილია მარტყოფლიშვილი

პედაგოგები რუსული სექტორის გაუქმებას აპროტესტებენ

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ხორნაბუჯის სკოლის რუსული სექტორის 100-მდე მოსწავლის ბედი გაურკვეველია. ახალი სასწავლო წლიდან, შესაძლოა, ისინი საშუალო განათლების გარეშე დარჩნენ. სექტემბრიდან რუსული სექტორის გაუქმება იგეგმება. გაურკვეველია 30-ზე მეტი პედაგოგის ბედიც.

სკოლის პედაგოგებმა დირექტორის, ლალი მენთეშაშვილისგან უკვე მიიღეს გამაფრთხილებელი წერილი, სადაც ნათქვამია, რომ შესაძლოა თანამშრომლების შემცირება მოხდეს, რუსული სექტორი კი ქართულს შეუერთდეს. დირექტორი მიზეზად ფინანსების სიმცირეს ასახელებს.

რუსული სექტორის მასწავლებლებმა და ეთნიკურად რუსი, სომეხი და ბერძენი მოსწავლეების მშობლებმა რუსული სექტორის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება გააპროტესტეს. როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, მათი შვილები რუსულენოვან ოჯახებში იზრდებიან და ქართულ სექტორზე სწავლას ვერ შეძლებენ.

ხორნაბუჯის სკოლის პედაგოგები გაზეთ „შირაქთან“ უკვე ორი წელია საუბრობენ, რომ რუსულ სექტორზე ბოლო სამი წელია, მოსწავლეების მიღება აღარ ხდება, რაც თავისთავად სექტორის გაუქმების წინაპირობა იყო. მსურველები იყვნენ, განცხადებებიც მრავლად შედიოდა, თუმცა დირექტორი მათ უარით ისტუმრებდა. პედაგოგები აცხადებენ, რომ რუსული სექტორის აკრძალვის მითითება ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მითითება იყო.

15 აგვისტოს სკოლის ეზოში გამართულ საპროტესტო აქციაზე პედაგოგები დირექტორს დაუპირისპირდნენ და შეეკამათნენ, რომ მსურველები მართლაც იყვნენ. დირექტორი კვლავაც იმ აზრს აფიქსირებს, რომ რუსულ სექტორზე საკმარისი მოსწავლე არ არის. მისი თქმით, რუსულ სექტორზე გასულ წლებში მოსწავლეთა კონტიგენტი შემცირდა, რასაც პედაგოგები არ ეთანხმებიან.

„3 წლის წინ, როცა პირველი კლასი უნდა მიმეღო, თვითონ მივუტანე დირექტორს 19 ბავშვზე მშობელთა განცხადებები, რომლებიც რუსულ სექტორზე სწავლას ითხოვდნენ, მაგრამ არ დაარეგისტრირა. რუსული სექტორი არ იქნებაო. მერე ზოგიერთი ოჯახი სოფლიდან წავიდა და მათმა შვილებმაც სწავლა სხვაგან გააგრძელეს. გასულ წელსაც მიუტანა პირველი კლასის მასწავლებელმა 30 განცხადება, მაგრამ ისევ უარი თქვა. 3 წელია რუსულ სექტორზე პირველი კლასი არ გვყავს, სპეციალურად გააკეთეს, რომ რუსული სექტორი გაუქმებულიყო“, — აღნიშნა დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ინგა აგამიროვამ.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მიხეილ ბახუტაშვილი მუდმივად აღნიშნავდა, რომ დეფიციტურ სკოლებს შორის სოფელ ხორნაბუჯის სკოლაც შედის.

შეგახსენებთ, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა დედოფლისწყაროში ერთადერთია, სადაც არაქართულენოვანი სექტორი მოქმედებს, მანამდე ეს სკოლა მთლიანად რუსულენოვანი იყო.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სოფელში მასშტაბური საპროტესტო აქციის გამართვას აპირებენ.

ეკლესიას შეწირული ფული და კუჭის ფილოსოფია

გვ. 5-8

არხილოსკალოში ქართული ჭიდაობის არენის მშენებლობა მალე დასრულდება

გვ. 3

თამაზაშვილის საქმის გამოძიება დასრულდა

გვ. 2

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

სადავო განათლების კანონი

საქართველოს პრეზიდენტმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში პარლამენტის მიერ შეტანილ ცვლილებებს ვეტო დაადო. საუბარია კანონპროექტზე, რომელიც თავის დროზე პარლამენტში საკმაოდ ხმაურიანი განხილვის საგანს წარმოადგენდა.

კანონპროექტი განათლების სამინისტრომ მოამზადა. პროექტის თანახმად, აკადემიური პერსონალის შემადგენლობას ასისტენტის აკადემიური თანამდებობა ემატება, რომელიც სასემინარო და კვლევით სამუშაოებს განახორციელებს.

პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებსა და დეკანებს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა მოეთხოვებათ, რასაც კანონი სადღეისოდ არ ითვალისწინებს.

პროექტის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ნაწილი იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, რექტორის მოვალეობის შემსრულებლები პრემიერ-მინისტრს უნდა დაენიშნა. განათლების სამინისტროს ამ შეთავაზებას მოწინააღმდეგეები უმრავლესობაშიც აღმოაჩნდა. საბოლოოდ პროექტში ცვლილებები განხორციელდა და პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ნორმის თანახმად, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს აირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში ყველა ის პირი შევა, ვისაც უნივერსიტეტში აქვს აკადემიური, ან სამეცნიერო თანამდებობა და ფლობს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

ამავე ცვლილებების ფარგლებში განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და დეკანის თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი (ინტერპრესნიუსი)

საარსებო შემწეობას მილიონერები და 1400 მეწარმე იღებდა

სოციალურად დაუცველთა ბაზაში 1400 მეწარმე აღმოჩნდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ნოე ქინქლაძის განცხადებით, სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებდნენ პირები, რომლების მეწარმეებად არიან დარეგისტრირებულები და რომელთა წლიური შემოსავალი 50 ათასიდან 1 მილიონ ლარამდე მერყეობს.

ქიქნლაძის თქმით, აგვისტოს თვეში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვნილი იქნა ინდმეწარმეების 2012 წლის შემოსავლების (ბრუნვის) შესახებ ინფორმაცია, რომელიც შედარებულ იქნა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ბაზასთან, რის შემდეგადაც გაირკვა, რომ საარსებო შემწეობის მიმღები აღმოჩნდა 1402 პირი, სულ 1300 ოჯახი, რომლებიც ამავე 2012 წელს ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას და მათი წლიური ბრუნვის მაჩვენებელი აღემატება იმ მინიმუმს რაც წესით უნდა ჰქონდეს სოციალურად დაუცველებს.

ერთი ინდმეწარმის წლიური ბრუნვა ერთ მილიონ ლარზე მეტს აღემატებოდა; 4 ინდმეწარმის ფულადი ბრუნვა 500 000-დან 1 მილიონამდე ლარს შეადგენდა; სამ ინდმეწარმეს - 300 000 და 500 000 ლარამდე ჰქონდა, 4 ინდმეწარმეს - 250 000-დან 300 000 ლარამდე ბრუნვა; 7 ინდმეწარმეს - 200 000-დან 250 000 ლარამდე ბრუნვა; 4 ინდმეწარმეს წელიწადში 100 000-დან 200 000 ლარამდე ბრუნვა ჰქონდა, 88 ინდმეწარმეს - 50 000-დან 100 000 ლარამდე ბრუნვა და 1275 ინდმეწარმეს - წელიწადში 50 000 ლარამდე ბრუნვა ჰქონდა.

ნოე ქინქლაძის თქმით, აღნიშნულ ოჯახებს და ინდმეწარმეებს აგვისტოს თვიდან შეუწერდებათ საარსებო შემწეობის გაცემა და უახლოეს პერიოდში განხორციელდება ამ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება.

დახმარების შეუწერებლობის შემთხვევაში აღნიშნულ ბენეფიციარებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან აგვისტოს თვეში არამიზნობრივად 304 274 ლარი დაიხარჯებოდა. მისივე თქმით, 2012 წელს ამ ოჯახებზე ბიუჯეტიდან საარსებო შემწეობის სახით უკვე გაიცა 1 167 356 ლარი.

გიორგი მარგველაშვილის პიარსამსახურს შალვა რამიშვილი უხელმძღვანელებს

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის პიარსამსახურს შალვა რამიშვილი უხელმძღვანელებს. ეს ინფორმაცია მარგველაშვილის საარჩევნო შტაბში დაადასტურეს.

შალვა რამიშვილს ბოლოს ტელეკომპანია „მეცხრე არხზე“ გადაცემა „ცხელი შუადღე“ მიჰყავდა. „მეცხრე არხზე“ სამუშაოდ ის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავიდა. მანამდე ტელეკომპანია „მაესტროში“ მუშაობდა და გადაცემებს „აკრედიტაციის გარეშე“ და „სუბიექტური აზრი“ უძღვებოდა.

აეროპორტს,ვარდების მოედანს, ევროპის მოედანს და რიყის პარკს ახალი სახელები დაერქმევა

თბილისის აეროპორტს, ვარდების მოედანს, ევროპის მოედანსა და რიყის პარკს ახალი სახელები დაერქმევა. ერთ- ერთ ვარიანტად განიხილება, რომ თბილისის აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი, „ვარდების მოედანს“ - მერაბ კოსტავას, „ევროპის მოედანს“ - ასი ათასი მოწამის სახელი, რიყის პარკს კი ევროპის პარკი დაერქვას.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი შიახიაშვილის განცხადებით, ჩამოთვლილი სახელწოდებები საბოლოო ვარიანტი არ არის, თუმცა უმრავლესობის მოსაზრებები ეს არის.

შიხიაშვილის განმარტებით, „ვარდების მოედნისთვის“ სახელწოდების შეცვლა კონკრეტული მოვლენის მიმართ სიძულვილიდან არ გამომდინარეობს.

„კოსტავას ქუჩა სწორედ ვარდების მოედნიდან იწყება და სასურველია, რომ ამ მოედანს კოსტავას სახელი დაერქვას. რაც შეეხება ევროპის მოედნისთვის ასი ათასი მოწამის სახელის დარქმევას, ეს სწორედ ის ადგილია , სადაც ასი ათასი მოწამე აწამეს. ჩვენთვის, რომ არ დაებრალებინათ ევროპის მოძულეობა, ამიტომ რიყის პარკისთვის გადავწყვიტეთ დაგვერქმია ევროპის პარკი“, - განაცხადა შიხიაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ლადო პაპავა აირჩიეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ფინანსთა მინისტრის სათათბიროს წევრი ლადო პაპავა აირჩიეს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავით ბოსტოღანაშვილის განცხადებით, რექტორის არჩევნებმა დარღვევების გარეშე ჩაიარა.

„რექტორის არჩევნების პროცესმა დარღვევების გარეშე ჩაიარა. არჩევნებში მონაწილე 13 კანდიდატიდან 10 ხმით ვლადიმერ პაპავამ გაიმარჯვა, 2 ხმა ერთ-ერთმა კანდიდატმა ირმა რატიანმა მიიღო. დანარჩენ კანდიდატებს არცერთი ხმა არ მიუღიათ“,- განაცხადა დავით ბოსტოღანაშვილმა.

არჩეული რექტორი უფლებამოსილების შესრულებას აკადემიური საბჭოს მიერ ოქმის დამტკიცების შემდეგ შეუდგება.

ერთმა კანდიდატმა, მარინა ჩიტაშვილმა ლადო პაპავას სასარგებლოდ კანდიდატურა არჩევნებამდე მოხსნა.

თამაზაშვილის საქმის გამოძიება დასრულდა

მთავარი პროკურატურა თამაზაშვილის საქმეზე განცხადებას ავრცელებს. მათი ინფორმაციით, უკვე დასრულებულია გამოძიება გენერალ თამაზ თამაზაშვილის განზრახ უკანონო დაკავებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე. უდავოდ დადასტურებულია, რომ 2011 ოქტომბერში, თამაზ თამაზაშვილის დაკავება განხორციელდა პოლიტიკური მოტივით, ფალსიფიცირებული მტკიცებულებების გამოყენებით და მიზნად ისახავდა კახეთის რეგიონში მისი შესაძლებლობების განეიტრალებას.

„გამოძიების დასრულებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დანაშაულის მონანილეების, მათ შორის, მისი უშუალო ამსრულებლების, პატიმრობაში მყოფი, ქალაქ თბილისის პოლიციის ყოფილი თანამშრომლების — გივი კრავჩენკოს, გრიგოლ კვინიკაძის, ზაზა ჭაიას, ვლადიმერ გამრეკელაშვილის, გოჩა ჩიტაიას და გოჩა ბაღათრიშვილის საგამოძიებო ორგანოებთან აქტიურმა თანამშრომლობამ. შესაბამისად, დანაშაულის სრულად გახსნის საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება, დასახელებული პირების მიმართ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. ბრალდებულების აღიარებითი ჩვენებებისა და მათი ქმედითი დახმარებით შეკრებილი სხვა მტკიცებულებების საფუძველზე უდავოდ დადასტურებულია, რომ 2011 წლის ოქტომბერში, თამაზ თამაზაშვილის დაკავება განხორციელდა პოლიტიკური მოტივით, კახეთის რეგიონში მისი ელექტორალური შესაძლებლობების განეიტრალებისა და ზოგადად, იმდროინდელი ოპოზიციური მოძრაობის დისკრედიტაციისა და დაშინების მიზნით.

დადგენილია, რომ შს სამინისტროს ხელმძღვანელობის დავალებით, თამაზ თამაზაშვილისათვის დანაშაულის დაბრალების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების „ჩადების“ ოპერაციის ორგანიზებასა და ინფორმაციულ უზრუნველყოფაში. მისი სატელეფონო საუბრების უკანონო მიყურადებაში ჩართული იყვნენ ამჟამად ბრალდებულები: ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, გიორგი ხიზანიშვილი, ირაკლი ქოპილაშვილი, აგრეთვე, კონსტიტუციური უსაფრთოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დანაყოფის უფროსი ზურაბ ლალიაშვილი. ფალსიფიცირებული მტკიცებულებების საფუძველზე გასამართლებული თამაზ თამაზაშვილი სასჯელს იხდიდა 1 წლის განმავლობაში და როგორც ცნობილია, იგი, უკანონო პატიმრობიდან, გათავისუფლდა 2012 წლის ოქტომბერში“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კომენტარი გააკეთა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც. „მე ვფიქრობ, პროკურატურამ საკმაოდ დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია გაავრცელა. ასე რომ, მე მხოლოდ მივესალმები მის გადაწყვეტილება“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

შეგახსენებთ, 2011 წლის ოქტომბერში, ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე გაკეთებული პირველი განცხადებიდან რამდენიმე დღეში ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი თამაზ თამაზაშვილი დააკავეს. დაკავება იმთავითვე ღარიბაშვილის ოჯახზე განხორციელებულ ზეწოლად შეფასდა.

ობიექტივის მაუწყებლობა მალე ჩაირთვება

უკვე 1 თვეა მედიაკავშირ „ობიექტივის“ გადაცემები დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძიდან გათიშულია.

როგორც „ობიექტივის“ დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა, რომელსაც ახლახან დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა, „შირაქს“ განუცხადა, პრობლემის შესახებ საქმის კურსშია. ინაშვილის განმარტებით, „ობიექტივის“ ტელეგადაცემები დედოფლისწყაროში, სავარაუდოდ, 2 კვირაში ჩაირთვება.

ცნობილია, რომ „ობიექტივის“ გადაცემების ტრანსლირებას საკუთარ სიხშირეზე კომპანია „სტერეო+“ უზრუნველყოფს. გაზეთ „შირაქს“ შპს „სტერეო+“ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, რომ დედოფლისწყაროში გადაცემების შეწყვეტა დედოფლისწყაროს ანძაზე არსებულ დაზიანებას უკავშირდება. მათი თქმით, ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და „ობიექტივის“ მაუწყებლობა უახლოეს მომავალში აღდგება.

შეგახსენებთ, „სტერეო+“მა დედოფლისწყაროს სატელევიზიო ანძიდან „მეცხრე არხის“ ნაცვლად „ობიექტივის“ გადაცემების ტრანსლირება მიმდინარე წლის 29 მაისიდან დაიწყო, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ მეცხრე არხი შესაბამის გადასახადს არ იხდიდა. ამავე კომპანიის სიხშირეების დახმარებით, უკვე მერამდენე თვეა, „ობიექტივი“ ქვეყნის ყველა რეგიონში მაუწყებლობს.

„სტერეო+“-ის ხელმძღვანელის დავით ზილფიმიანის განმარტებით, მათსა და მედიაკავშირ „ობიექტივს“ შორის გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ეტაპზე რეტრანსლაციის ღირებულებაში გადახდილი თანხის ოდენობა არ კონკრეტდება, თუმცა ადასტურებენ, რომ მათი თანამშრომლობა გრძელვადიანია.

ილია მარტყოფლიშვილი

გამგებელმა სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

სოფელ სამთაწყაროს რწმუნებულს გულო ნადირაშვილს დედოფლისწყაროს გამგებელმა საყვედური გამოუცხადა. ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, საყვედური გასული თვეების განმავლობაში სოფელში არსებული რელიგიური დაპირისპირების დროს რწმუნებულის პროცესში ჩართულობას და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდება.

ცნობილია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გულო ნადირაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები და მოქმედებები დისციპლინურ გადაცდომად შეაფასა. გამგებელი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ ჟესტით მან სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა და შესაბამისი ნაბიჯი გადადგა. ირაკლი შიოლაშვილი ამბობს, რომ ჩანაწერების გაცნობის შემდეგ დარწმუნდა, რომ დისციპლინარულ გადაცდომებს ადგილი მართლაც ჰქონდა და ეს რწმუნებულის საჯარო სამსახურში მუშაობის გამოუცდელობით არის გამოწვეული. სხვაგვარად, ნადირაშვილი ცდილობდა, დაპირისპირება შეძლებისდაგვარად დაერეგულირებინა და ვითარების გამწვავება თავიდან აერიდებინა.

თავის მხრივ, რწმუნებული მიიჩნევს, რომ კანონსაწინააღმდეგოდ არ უმოქმედია.

ომბუდსმენმა დედოფლისწყაროს გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს სამთაწყაროს რწმუნებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების რეკომენდაციით მიმდინარე წლის ივლისში მიმართა.

შეგახსენებთ, უკვე მერამდენე თვეა, სამთაწყაროში მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლების მხრიდან პარასკევის ტრადიციულ ლოცვას აჟიოტაჟი ახლავს. ადგილობრივები აცხადებენ, რომ სოფელში მუსლიმი მრევლი თითქმის არ არსებობს და ლოცვებზე დასწრების სურვილი მხოლოდ სამ ოჯახს აქვს. მუსლიმთა სამმართველო კი ცდილობს წარმოაჩინოს, თითქოს მათ ვინმე ლოცვაში ხელს უშლის. გასულ კვირას მუსლიმებმა განაცხადეს, რომ ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან იმამები დედოფლისწყაროში პარასკევის ლოცვის ჩასატარებლად აღარ ივლიან, რადგან მრევლი არ მოდის.

ილია მარტყოფლიშვილი

სოფლებში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოსა და ქვემო ქედის საბავშო ბაღში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა მოინახულა.

გამგებლის განმარტებით, ხსენებულ საბავშო ბაღში იცვლება სახურავი, ძველის ნაცვლად მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრები მონტაჟდება, ხოლო ძველი იატაკის ადგილას ლამინატის იატაკი კეთდება. ირაკლი შიოლაშვილის თქმით, სამრეკლოს საბავშო ბაღში მოხდება გაზიფიცირება და შეშის ღუმელების ნაცვლად ახალი გათბობის სიტება დამონტაჟდება. სარემონტო სამუშაოებს კომპანია „დიდოსტატი 1“ ასრულებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და მისმა მოადგილემ ნიკოლოზ ხუციშვილმა საბავშო ბაღში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები სოფელ ქვემო ქედშიც დაათვალიერეს. ქვემო ქედის მცხოვრები ბავშვები ახალ სასწავლო წელს ახლად გარემონტებულ და ახალ ინვენტარით აღჭურვილ შენობაში დაიწყებენ სწავლას.

არხილოსკალოში ქართული ჭიდაობის არენის მშენებლობა მალე დასრულდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და მისმა მოადგილემ ნიკოლოზ ხუციშვილმა, სოფელ არხილოსკალოში ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, ქართული ჭიდაობის მშენებარე არენის რკინის კონტრუქცია მოინახულეს. ჭიდაობის არენის რკინის კონსტრუქციის აწყობა უახლოეს მომავალში დასრულდება. რამდენიმე დღეში მას გუმბათსაც დაადგამენ, მანამდე კი მისი შეღებვა ნითელ და ლურჯ ფერებში მოხდა.

შეგახსენებთ, რომ სოფელ არხილოსკალოში, ქართული ჭიდაობის არენა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის, ქართული ჭიდაობის ფედერაციისა და ფონდ „ქართუს“ ერთობლივი პროექტით შენდება. არენა მთლიანად რკინის კონსტრუქციებით იწყობა, რომელიც დაახლოებით 800-მდე მაყურებელს დაიტევს. კონსტრუქცია გაკეთდება წრიულად, მისი გარე დიამეტრი 24 მეტრია, საჭიდაო ადგილი კი 100მ^2.

ცნობისთვის, ქედების ზონაში სპორტული დარბაზის და შესაბამისი ინვენტარის არარსებობის გამო, სპორტსმენები შესაბამის მომზადებას ვერ ახერხებდნენ, ამის მიუხედავად, ეს ზონა ფალავნების სიმრავლით გამოირჩევა. როგორც მწვრთნელმა კახა წიკლაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, იმის გამო, რომ არც შენობა აქვთ და არც სპორტული ინვენტარი, ისინი სკოლის ერთ პატარა ოთახს აფარებენ თავს. დამსახურებული მწვრთნელი ფონდი „ქართუს“ საჩუქრით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ დარბაზის მონტაჟის დასრულების შემდეგ მათი წარმატებები კიდევ უფრო მოიმატებს.

გამგეობის პრესსამსახური

კახეთში ღვინის ქარხნებში ყურძნის ჩასაბარებელი ფასი 1 ლარიდან დაიწყება

კახეთში რთველი აგვისტოს ბოლოს დედოფლისწყაროს რაიონის ალაზნისპირა სოფლებიდან დაიწყება და 10 სექტემბრიდან რთველში ჯერ სიღნაღის, შემდეგ კი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები ჩაერთვებიან. ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, 1 ლარად ან 1 ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით, ღვინის მწარმოებელ კომპანიებს შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა დღეს ჟურნალისტებს „რთველი - 2013“-ის ფარგლებში მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოები და სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროგრამები გააცნეს.

შალვა ფიფიამ აღნიშნა, რომ დღეს სოფლის მეურნეობა რეალური პრიორიტეტია, რომლის განვითარებასაც მთავრობა სისტემურად ახორციელებს. მინისტრის თქმით, „რთველი 2013“ ამ სისტემის შემადგენელი ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იქნება.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, „რთველი 2013“- ის წარმატებით ჩასატარებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ინტენსიურად მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები ღვინისმწარმოებლებთან, ღვინის ასოციაციის გამგეობის წევრებთან, გლეხებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

„არ მოხდება დიფერენცირება მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებულ ყურძენზე, თანაბარი პირობები შეიქმნება მეწარმეებისთვის დამცირე ფერმერებისთვის. სუბსიდიის პროგრამა განხორციელდება კომპანიებისათვის ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე. სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე, შეადგენს 40 თეთრს, ხოლო 1 კგ საფერავის შემთხვევაში - 25 თეთრს. შეღავათიანი აგროსესხების პროექტს დაემატება მე-5 კომპონენტი. გაიცემა შეღავათიანი სესხები ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის - 15 თვიანი სესხი 12%— 15% -ად, აქედან 9%-ს ფარავს სახელმწიფო. 1 ლარად ან 1 ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო პირდაპირი დახმარების წესით, შესაბამისი თანხით უზრუნველყოფს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს“, — აღნიშნა დავითაშვილმა.

სამინისტროს ინფორმაციით, სუბსიდია გავრცელდება რქაწითელზე, კახურ მწვანესა და საფერავზე.

„რთველი 2013-ის“ ორგანიზებულად ჩასატარებლად დაგეგმილია საკოორდინაციო შტაბის შექმნა, რომელსაც ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს. შტაბის წევრები იქნებიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ამოქმედდება ცხელი ხაზი (577080417; 577080419).

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ისაუბრა გასულ წლებში მეღვინეობის დარგში არსებულ პრობლემებზეც, ასევე რთველის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევასა და ბაზარზე ყურძნის ფასის ხელოვნურად ზრდაზე. „სახელმწიფო აღმოჩნდა კერძო სექტორის კონკურენტის როლში, რამაც ბაზარზე კერძო სექტორის წილის მკვეთრი დაწევა განაპირობა“, — განაცხადა ფიფიამ

მისივე თქმით, მომავალი წლიდან, სახელმწიფო აქტიურად იმუშავებს შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე: ვენახების ფართობის დადგენა, აღწერა და ვენახების აღრიცხვიანობის საკადასტრო სისტემის შექმნა. დარაიონება ჯიშების მიხედვით; ყურძნის რაოდენობისა და წარმოების მასშტაბების განსაზღვრა სხვადასხვა რაიონების მიხედვით, რათა ამ კრიტერიუმებით გამოიკვეთოს ღვინის სახეობები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული წარმოებაში და რეალიზებული ადგილობრივ ბაზარზე; შიდა კოოპერირება ცალკეული მეურნეობების მიხედვით; ერთობლივი ძალისხმევის ხელშეწყობა მცირე საწარმოების შესაქმნელად და საექსპორტო ბაზრებზე გასასვლელად, რის შემდეგაც, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები აღარ იქნებიან დამოკიდებული მსხვილ მეწარმეებზე, სუბსიდირებაზე და ფასების ცვალებადობაზე; სახელმწიფო ხელს შეუწყობს ფერმერთა კოოპერატივების შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაზე.



საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები - 2013

საქართველოში წინასაარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო. მართალია, წლევანდელი ზაფხული საკმაოდ გრილი ამინდებით გვანებივრებს, მაგრამ პოლიტიკური ტემპერატურა, ნელ-ნელა, მაგრამ საგრძნობლად მატულობს.

პრეზიდენტობის მსურველთა სია კი საკმაოდ ვრცელია და მრავალფეროვანი. აქ იხილავთ როგორც სტაჟიან, ისე ახალბედა პრეზიდენტობის კანდიდატებს. მათი ერთი ნაწილი, გამარჯვების მანიით შეპყრობილი, საკმაოდ არაორდინალურ წინასაარჩევნო პლატფორმას გვთავაზობს. გამოცდილი და სტაჟიანი პოლიტიკოსებიდან კვლავ აქტიურობს მშრომელთა პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომლის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად კვლავ რჩება ყოფილი და ახალი ხელისუფლების კრიტიკა. მათი განქიქების ფონზე კი ის მოსახლეობას ლეიბორისტული პარტიისა და მისი ლიდერის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს. მან უკვე შეაფასა პრეზიდენტობის კანდიდატები და მისთვის დამახასიათებელი სარკაზმი არც ამჯერად დავიწყებია.

„პრეზიდენტობის კანდიდატები მესაფლავეთა კოჰორტის გაგრძელებას წარმოადგენენ , ამიტომაც არც ერთ მათგანს არ აქვს შანსი არჩევნებში გასვლის. რეალური არჩევნების შემთხვევაში ჩემი გამარჯვება პირველივე ტურშია მოსალოდნელი", - აცხადებს ნათელაშვილი და ის ყველა კანდიდატისთვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას ითხოვს.

არ ვიცი, ამ ეტაპზე მოსახლეობის რა ნაწილი ენდობა ნათელაშვილის დაპირებებს და მის პერსონას, როგორც მომავალი პრეზიდენტის რანგში წარმოდგენილს, მაგრამ პოლიტიკური დივიდენდები მან და მისმა პარტიამ მას შემდეგ დაკარგეს, რაც შალვამ თბილისის საკრებულოს

თავმჯდომარის პოსტი მიხეილ სააკაშვილს დაუთმო. მას შემდეგ ხშირად საუბრობდნენ ლეიბორისტების ხელისუფლებასთან გარიგების თაობაზე, ბოლოს კი პარტია ბევრმა მისმა თანამებრძოლმა დატოვა... თუმცა, ამ არგუმენტების მიუხედავად, ქართული პოლიტიკა ნათელაშვილის გარეშე რომ ხიბლს დაკარგავს, ესეც ფაქტია...

ქართულ პოლიტიკაში ახალ სახეებად შეიძლება ჩაითვალნენ გელა სალუაშვილი და ნიკოლოზ გორგიჯანიძე. ორივე მათგანს სხვებისგან გამორჩეული და „საინტერესო" წინასაარჩევნო პროგრამა აქვთ. მათი არაორდინალურობის გამო გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გაგვეცნო ჩვენი მკითხველისთვის ეს კანდიდატები.

გორგიჯანიძისთვის ბევრი რამე არჩევნებამდეც უკვე გარკვეულია. მაგალითად, ის, თუ ვის მისცემს ხმას არჩევნებში და გაპრეზიდენტების შემთხვევაში ვისთან ითანამშრომლებს.

გორგიჯანიძე ამბობს, რომ ამჟამად საბავშვო ლექსებსა და გამოცანებს წერს და საკუთარი შემოქმედების რეალიზაციას თავადვე ახდენს ქუჩა-ქუჩა. საპრეზიდენტო პროგრამა და პრიორიტეტები მან ჟურნალისტებს უკვე გააცნო. მას უკვე მოფიქრებული აქვს საპრეზიდენტო კამპანიის სლოგანიც: "მინდა ვიყო ერთი კენტი, ბავშვებისთვის პრეზიდენტი".

გორგიჯანიძე აცხადებს, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რუსეთთან ურთიერთობების დალაგება და რუსი ტურისტების საქართველოში მოზიდვა უმთავრესი პრიორიტეტი გახდება. პრეზიდენტობის მსურველი ამბობს, რომ მას ძალიან მოსწონს იოსებ სტალინი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, ასევე, იცის, რომ სტალინი რუსეთშიც უყვართ და, შესაბამისად, კავშირების აღდგენის პროცესში ამ საკითხის გამოყენებაც შეიძლება:

„ეკონომიკური მოტივი მთავარია, რუსეთთან დაახლოება, რუსეთი კი არ უნდა გვირტყამდეს, საკუთარ ფულს აქ უნდა ხარჯავდეს. ტურიზმი და ტურიზმი, ეს არის იდეოლოგიური ტურიზმი. ჩვენ გვაქვს გულკეთილობა. დედამიწაზე ქართველ კაცზე გულკეთილობა არ არსებობს", — აცხადებს იგი და მოსახლეობას არჩევის შემთხვევაში 300 აშშ დოლარის ოდენობის პენსიას სთავაზობს.

„200 დოლარი დიასახლისებს ექნებათ, 100—150 ლარი უსაქმურებს და უვარგისებს, იმათაც ხომ უნდათ სიგარეტი და ცხოვრება?! ისინიც ადამიანები არიან. იტყვით, რომ ყველა უსაქმური გახდება... არა, იმას პირად საქმეში ეწერება — უსაქმური, რაც დიდი სირცხვილი იქნება და ყველა იმუშავებს. ყველას შევუქმნით სამუშაო ადგილებს", — განაცხადა მან ჟურნალისტებთან.

ნიკოლოზ გორგიჯანიძის თქმით, საქართველოს მოსახლეობას მთავრობის შენახვა ძალიან ძვირი უჯდება, ამიტომ იგი გამარჯვების შემთხვევაში ბევრ სტრუქტურას საერთოდ გააუქმებს, ხოლო ნაწილს ერთმანეთთან შეაერთებს, თუმცა არ აპირებს გაასხვისოს პრეზიდენტის ავლაბრის სასახლე. თუ პრეზიდენტი გახდება, აპირებს, რომ ინაუგურაციის შემდეგ პირველი ვიზიტი რუსეთში გამართოს სახელმწიფოების შერიგების მიზნით. ნატოში საქართველოს განევრიანებას კი კატეგორიულად გამორიცხავს.

„ვის მივიჩნევ კონკურენტად? - მხოლოდ სატანას. არ გჯერათ? მე თქვენთან არ გავხსნი კარტებს. მე მოვდივარ ღარიბების, მათხოვრების ხელით. თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გავიმარჯვებ, ძალიან კარგი იქნება, ესე იგი საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან კარგად არის და ხალხი კარგად ცხოვრობს. მე ყველაფერს მივაღწიე უკვე ცხოვრებაში, ბავშვებს ვახარებ. კი, მართალია, პრეზიდენტი რომ გავხდე კარგი იქნება, მაგრამ...".

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აპირებს ითანამშრომლოს ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც მეტსახელად "კეთილ ბიძოს" ეძახის, ასევე, კობა დავითაშვილთან, ეკა ბესელიასთან და პროფკავშირების ხელმძღვანელ ირაკლი პეტრიაშვილთან, რადგან მათი საქმიანობა მოსწონს.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ გორგიჯანიძე, რომელიც აცხადებს, რომ მობილურ ტელეფონს საერთოდ არ იყენებს, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმის მიცემას არა საკუთარი თავისთვის, არამედ გიორგი მარგველაშვილისთვის გეგმავს.

„მე ჩემ თავს ხმას არ მივცემ, ხალხმა უნდა მომცეს", — ამბობს იგი და დასძენს, რომ არ ინერვიულებს, თუ არჩევნებში დამარცხდება, რადგან მარცხის შემთხვევაში ჩათვლის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა კარგად არის და მისი დაპირებები მოსახლეობას არ სჭირდება.

როგორც ცნობილია, 2013 წლის ახალი საკონსტიტუციო რეალობით პრეზიდენტს არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ ის დაპირებები, რასაც გორგიჯანიძე გასცემს, დამოუკიდებლად, მთავრობასთან თანამშრომლობის გარეშე შეასრულოს. გორგიჯანიძე აცხადებს, რომ ამის შესახებ მისთვის ცნობილია, თუმცა მან იცის ერთი "საიდუმლო ხერხი", თუ როგორ გადაჭრას ეს პრობლემა.

ბატონი ნიკოლოზის განცხადებით, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში საპატრიარქოსთვის „პატარა ვატიკანის მოწყობას" გეგმავს და თვლის, რომ: „ვატიკანის მსგავსი პროექტის შექმნა ქვეყანაში ტურისტების შემოდინებას შეუწყობს ხელს და მილიარდობით დოლარის მოზიდვა იქნება შესაძლებელი".

,,იდეა მაქვს თავში, რომ საპატრიარქოს გავუკეთო პატარა ვატიკანი. გესმით თქვენ, რა არის ვატიკანი? ვატიკანში ერთ დღეს 10 მლნ კაცი ჩავიდა ეკლესიაში. საქართველოში რომ ერთ კვირაში 10 მლნ. ადამიანი მივიღო, მილიარდობით ფული შემოვა, ტურიზმი აინევს უმაღლეს დონეზე. რაც შეეხება სოციალურ დაპირებებს, არავის 300 დოლარზე ნაკლები პენსია არ ექნება. დიასახლისებს — 200 დოლარი; უსაქმურებს, ნარკომანებს, ლოთებს — 100 ლარი აუცილებლად, სიგარეტის ფული ხომ უნდათ, ხომ არ მოვაპარინებ საწყალ ბავშვებს?! ახლა თქვენ იტყვით — საიდან ეს ფული?! სავსეა ფული, მცირე ბიზნესი ვიცი..",— განაცხადა ნიკოლოზ გორგიჯანიძემ.

პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ—გელა სალუაშვილი თვლის, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში მისი მთავარი დაპირება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იქნება:

,,ჩემი პროგრამა მართლმადიდებლური რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას და სამხედრო ნეიტრალიტეტს ითვალისწინებს. პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ცხებული მეუფეა. იმედი მაქვს, თანამედროვე ისტორიის საყვარელი გმირივით პრეზიდენტობას შევძლებ. ვარდების რევოლუციად ნოდებული სამხედრო გადატრიალება სწორედ მარკირების მეთოდის შემოღებამ განაპირობა. მარკირება, ბიბლიური სწავლების მიხედვით, ეს არის ანტიღვთიური გადაწყვეტილება. საკაშვილის ბიბლიური ტერმინია ცრუ წინასწარმეტყველი. მთლიანობაში, სააკაშვილის, ჟვანიას და ბურჯანაძის საქმიანობა ბიბლიაში უარყოფითადაა შეფასებული. ბიბლიაში ასევე გამოკვეთილია ივანიშვილის სახელიც, ოღონდ ეს არის მისტერიული ფორმით. სააკაშვილი თუ არის იმ არსის მატარებელი, რასაც ცრუ წინასწარმეტყველი ჰქვია, ივანიშვილის არსი პოლიტიკური თვალსაზრისით გზის მოსწორებაა,"— აცხადებს მიხეილ—გელა სალუაშვილი.

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი, რომელმაც ცხრა თვის წინ ახალი ხელისუფლება აირჩია, თავიანთ ფავორიტად საპრეზიდენტო არჩევნებშიც „ქართული ოცნების" კანდიდატს მიიჩნევს. ხალხი თვლის, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა უნდა დამთავრდეს და მთავრობაც და პრეზიდენტიც საქართველოსა და მის მოსახლეობაზე ერთობლივად უნდა ზრუნავდეს. თუმცა, არსებობს კატეგორია, ვისაც მიაჩნია, რომ ერთპარტიულ მმართველობას ქვეყანაში დემოკრატიულობის თვალსაზრისით მთლად დადებითი შედეგი როდი მოაქვს. ამიტომ „ქართული ოცნების" ბევრი მომხრე თვლის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, ქალ კანდიდატს მიანიჭოს უპირატესობა. გამოდის, რომ საქართველოს ბოლო წლების პოლიტიკაში პირველად შეიძლება ითქვას, რომ ქალს პოლიტიკური სამშვენისის ფუნქცია აღარ ექნება... ამ არგუმენტის გამყარებას ექსპერტთა მოსაზრებებიც უწყობს ხელს. მაგალითად, ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მარგველაშვილთან ერთად რეალურ საპრეზიდენტო კანდიდატად ნინო ბურჯანაძეს განიხილავს. მას იმედი აქვს, რომ მარგველაშვილი და ბურჯანაძე ევროპული კულტურის მაგალითს აჩვენებენ საპრეზიდენტო არჩევნებზე. რაც შეეხება ევროპულ ღირებულებებს, მისი გამტარებელი, ალბათ, აუცილებლად იქნება სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს ხალხის არჩეული და არა ვინმეს დანიშნული.

,,დღეს უკვე დგება დრო, რომ ამ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებმა დაამთავროს ერა, ერა, რომელიც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიწყო და შევარდნაძის შემდეგ გრძელდება. ჩემი აზრით, ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს ხალხის არჩეული და არა ვინმეს დანიშნული. ახალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს არანაირი გუნდის წარმომადგენელი. ერთადერთი გუნდი ვიცი მე, ეს არის საქართველო."-აცხადებდა სალომე ზურაბიშვილი.

ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა აგრეთვე „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის" დამფუძნებელმა ნესტან კირთაძემ. მან წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო . კიდევ ერთი ქალბატონი, რომელიც საპრეზიდენტო მარათონში გეგმავს ჩაბმას, მრავალშვილიანი დედა ასმათ მაჭავარიანია. მანაც საკუთარი წინასაარჩევნო პლატფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე წარუდგინა საზოგადოებას.

მაჭავარიანის განცხადებით, ცუდია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატებს სახელმწიფო წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში არ ეხმარება და არ აფინანსებს, რადგან ეს არამომგებიან პოზიციაში აყენებს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს.

მაჭავარიანს სურდა, კარდაკარის პრინციპით რეგიონები შემოევლო და საკუთარი გეგმები მოსახლეობისთვის გაეცნო, თუმცა აცხადებს, რომ ამისთვის ფინანსები არ აქვს, ამიტომ წინასაარჩევნო კამპანიას მხოლოდ მედიის, პრესკონფერენციებითა და არასამთავრობო სექტორთან შეხვედრით აწარმოებს.

პრეზიდენტობის კანდიდატი ამბობს, რომ გამარჯვების შემთხვევაში მის გეგმებშია: ხელისუფლების დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება, მცირე მეწარმეების ხელშეწყობა, ბიზნესის წნეხისგან გათავისუფლება, ეკონომიკური ამნისტია. მაჭავარიანი ფეხმძიმე ქალბატონების დახმარებასაც აპირებს. მისი თქმით, ორსულებს მინიმალური ხელფასი 120 ლარი მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ ფეხმძიმობის პერიოდი ნორმალურად გაატარონ. მისივე თქმით, ქართველები ცხელ ზონებში არ უნდა იხოცებოდნენ.

,,ეს უნდა დავარეგულიროთ. უშვილო ბიჭები, თუნდაც ერთი შვილის მამები არ უნდა მიჰყავდეთ ცხელ ზონებში. უნდა გადავარჩინოთ გენოფონდი. თუ ორი-სამი შვილის მამას რამე დაემართება იქ, სახელმწიფომ უნდა აიღოს მთლიანად თავის თავზე იმ ოჯახზე ზრუნვა",- აცხადებს ასმათ მაჭავარიანი.

"ერთი პრეზიდენტი გვყავდა, რომელიც სულ ტელევიზორშიაო და პიარს იკეთებსო - ამბობდნენ. მე ეს არ მჭირდება. თუ მოვალ, მოვალ საქმის გასაკეთებლად. პირველ რიგში ჩემი პროფესია არის დედობა და დიასახლისობა. საქართველოც არის ერთი დიდი ოჯახი. დანარჩენი ყველაფერიც ამაზეა მიბმული. მე რომ 7 შვილი გავაჩინე და გავზარდე ამ დაქცეულ ქვეყანაში, ეს უკვე ჩემი პოლიტიკაა",- აცხადებს მაჭავარიანი.

საქართველოს მოსახლეობა ფიქრობს, რომ ამ არჩევნებში დიდი შანსით „ნაცმოძრაობა" და მისი კანდიდატი ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. პოლიტიკური ექსპერტების პროგნოზით, დავით ბაქრაძეს გამარჯვების თითქმის ნულოვანი შანსი აქვს.

ყველაზე წონიან საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი განიხილება. მან წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, რომელიც სოსო ცისკარიშვილმა დადებითად შეაფასა და მას სახელიც დაარქვა -„ომახიანი დასაწყისი". ბიძინა ივანიშვილმა კი გაბატონებული სტერეოტიპის მსხვრევის შესახებ ამცნო საზოგადოებას: „ჩვენ ვარღვევთ წლების განმავლობაში ქვეყანაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომ ლიდერი, ქვეყნის პრეზიდენტი, ქვეყნის ზე-კაცი და ყველას პატრონი უნდა იყოს", - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა ნოქალაქევში, „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის გახსნისას განაცხადა.

მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილი იქნება ყველას პრეზიდენტი და მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ყველას ინტერესს დაიცავს.

„ევროპაში ეს ასე არ არის და ჩვენთანაც უნდა დავამკვიდროთ და დავამსხვრიოთ ეს მახინჯი სტერეოტიპი. უნდა დავამკვიდროთ დემოკრატიული მმართველობის სტილი და ქვეყნის პრეზიდენტად ავირჩიოთ ევროპულად მოაზროვნე ადამიანი, რაც დაამთავრებს საქართველოში ერთი კაცის ჭკუაზე ქვეყნის მართვას, ერთი კაცის იმედად ყოფნას და ყველას დაანახვებს, რომ ჩვენც შეგვიძლია დემოკრატიული ღირებულებებით აზროვნება, ცხოვრება და სახელმწიფოს შენება. ამომრჩეველს ვთავაზობთ პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელიც ჩვენი საზოგადოების წევრია. ის ერთ-ერთი ჩვენგანია, რომელსაც მომდევნო ხუთი წლით ავირჩევთ და ხალხის სამსახურში ჩავაყენებთ. ამომრჩეველს ვთავაზობთ კანდიდატს, რომელიც არასოდეს გამოჰკიდებია თანამდებობას. გიორგი მარგველაშვილს მაღალი თანამდებობის გარეშეც საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს საზოგადოებაში. გიორგი მარგველაშვილი არის ჩვენი თანაგუნდელი, გამორჩეული ადამიანი, რომელსაც არასდროს უღალატია პიროვნული თავისუფლებისათვის. ეს არის დამოუკიდებელი და გაბედული კაცი, რომელიც არ ერიდება თამამ გადაწყვეტილებებს და ეს მან დაამტკიცა მინისტრის პოსტზე



ყოფნის დროს. ის არის ინტელექტუალური, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორია. იგი წარმატებით უძღვებოდა ერთ-ერთ საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელს. სხვათაშორის, ამ სასწავლებლის დაფუძნებაშიც მას ლომის წვლილი მიუძღვის. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ყოველთვის ახლოს იყო პოლიტიკასთან, მას ვერავინ დასწამებს, რომ ოდესღაც პოლიტიკური ინტრიგების მონაწილე იყო. იგი არც ერთი პარტიის წევრი არ არის. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მომავალი პრეზიდენტი ყველას ინტერესების დამცველი იქნება. მთელი ქვეყნის პრეზიდენტი იქნება გიორგი მარგველაშვილი, ყველას პრეზიდენტი იქნება ჩვენი გიორგი", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ცესკო-ში პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია კვლავ გრძელდება. სხვა კანდიდატებზე ინფორმაციას პერმანენტულად შემოგთავაზებთ.

ინგა შიოლაშვილი

ეკლესიას შეწირული ფული და კუჭის ფილოსოფია

ეპარქია დაკავებულის გათავისუფლებას და მონასტრისთვის გადაცემას ითხოვს

გასულ კვირას ქურდობის უპრეცენდენტო ფაქტი მოხდა დედოფლისწყაროში, რომელიც საზოგადოების განხილვის საგნად იქცა. როგორც ცნობილია, სოფელ სამრეკლოში, სერაფიმე საროველის სახელობის ახლადაღდგენილი ტაძარი გატეხეს და შესაწირი ყუთებიდან ფული მოიპარეს. ინფორმაციის გავრცელებისთანავე მოსახლეობის რეაქცია კატეგორიული იყო, საზოგადიება დამნაშავის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას ითხოვდა. თუმცა, გაზეთ „შირაქის“ მიერ გამოვლენილი ახალი გარემოებების გამო ვითარება შეიცვალა. ჟურნალისტების ჩარევის შემდეგ სოფელ სამრეკლოში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახის სიდუხჭირე საჯარო გახდა, რის შემდეგაც საკითხისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. იმის გამო, რომ თავშესაფარი არ აქვთ, შვიდშვილიანი ოჯახი სოფლის აბანოს ყოფილ შენობაში ცხოვრობს. ამ გარემოებების გამო, მოსახლეობის ნაწილმა დანაშაულს სხვა კუთხით შეხედა, სიბრალულის გრძნობა გაუჩნდა და მომხდარის გამომწვევი მიზეზები დაინახა. სოფელი დაკავებულისთვის შეღავათის გაწევის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. დაკავებულის დედა დარწმუნებულია, რომ მისი შვილი დასაქმებული რომ ყოფილიყო, ამ მძიმე დანაშაულს არ ჩაიდენდა. ამავე აზრს აფიქსირებენ ფოცხვერაშვილების მეზობლებიც.

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი, სოფელ სამრეკლოს მკვიდრი, 21 წლის აკაკი ფოცხვერაშვილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ 1992 წელს დაბადებულმა ბრალდებულმა გვიან ღამით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში, წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესიაში ფარულად შეაღწია და შესაწირი ყუთიდან ფული მოიპარა. დედოფლისწყაროს სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აკაკი დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს დააკავეს, ის აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ეჭვმიტანილის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების დიდი ნაწილს ჯანმრთელობის პრობლემებიც აწუხებს. ისინი უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობენ და სოფელში მდებარე ყოფილი აბანოს შენობაც ამორტიზებულია, წვიმის დროს კი ოთახებში წყალი ჩადის. მათ საცხოვრებელ შენობას არა აქვს ფანჯრები, რომლებზეც შუშის მაგივრად ცელოფნის პარკებია აკრული.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აკაკი წარსულში თანასოფლელების მაღაზიისა და 6 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობისთვისაა ნასამართლევი.

„მთელ სოფელს ეცოდება. ისეთი ხელმოკლე ოჯახია, ტანსაცმელსა და საჭმელს მეზობლები აძლევენ. კიდევ ერთი შვილიც პატიმარი ჰყავთ, უმუშევრები არიან. აკაკიმ წინა შემთხვევაში მაღაზიის ქურდობისას ტკბილეული მოიპარა, რომ მოდიოდა, შოკოლადებს ჭამდა და გზადაგზა ქაღალდებს ყრიდა. იქვე ახლოს ჩაძინებულს ასე მიაგნეს. მთელი სოფელი ამბობს, ძროხის ქურდობის ფაქტი კი პოლიციამ ტყუილად დააბრალაო, ციხიდან გამოსულიც მუდმივად ხატებს იფიცებოდა — არ მომიპარავსო, ან ეს სუსტი ბავშვი 6 ძროხას რანაირად მოიპარავდა და გადამალავდა. ძალიან ავადმყოფი ბავშვია, წინა პატიმრობის დროს ციხეში სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. იმდენად დასუსტებულია, საეჭვოა, რომ ამჯერად ციხიდან ცოცხალი გამოვიდეს,“ — აცხადებენ სოფელ სამრეკლოში.

„აკაკის შიოდა და ამიტომ გაიკეთა, სახლში არაფერი უჭამია. ერთ მომენტში გვითხრა, იქ როგორ შევედი არ მახსოვს, აზრზე არ ვარ, რანაირად აღმოვჩნდი დაკეტილ ტაძარშიო. 55 ლარამდე ფული წამოუღია, არც ის დამალა, რომ პური და ძეხვი ვიყიდე, დანარჩენი კი არ დამიხარჯავს და ახლაც ჯიბეში მაქვსო,“ - აღნიშნავს დაკავებულის დედა.

„უკიდურესად გაჭირვებული ოჯახია, კარგია, რომ ჟურნალისტები ასე ინტერესდებით და ხშირად მოდიხართ... ჩემი აზრით,ამ ბიჭის დაჭერა არ შეიძლებოდა. ციხე ვერ უშველის, ამას საავადმყოფო, ან ფსიქოლოგები სჭირდება, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას. ეს უნდა წაიყვანონ და ვინმემ უპატრონოს,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ფოცხვერაშვილების კარის მეზობელმა ნანი გომიაშვილმა.

მაია ფოცხვერაშვილი პრობაციის ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს. მრავალშვილიანი დედა ამბობს, რომ დანაშაულის ჩადენამდე პრობაციის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ოფისს რამდენჯერმე ეწვია, ვითარება აუხსნა და დახმარება ითხოვა, თუმცა უშედეგოდ. მისი განმარტებით, დაკავებულს ფსიქიკური პრობლემებიც აღენიშნებოდა, ოჯახი კი სამართალდამცველებს და პრობაციის სააგენტოს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარ აფრთხილებდა.

„სამჯერ ვიყავი პრობაციის ბიუროში, შეიძლება მეტჯერაც მივედი. ისე ვარ დაბნეული და განერვიულებული, რომ ზუსტად ვერ ვიხსენებ. ოფიცერს ვთხოვე, იქნებ როგორმე დაასაქმოთ, თორემ ძალიან არის ამ ცხოვრებისგან გაღიზიანებული-მეთქი, ვემუდარებოდი. მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია, ყურადღება არავინ მოგვაქცია. რაიმე სამსახური რომ ჰქონოდა, ელემენტარულად თავისი ჯიბის ფული ექნებოდა და ასე აღარ მოიქცეოდა. პოლიციასაც მივმართე, აგრესიულია, ბავშვებს დასდევს და ყელზე დანას ადებს, ექიმთან წაყვანაც მინდა, ფსიქოლოგიც სჭირდება მეთქი... ხშირად ჩვენც ვერ გვცნობს, ზოგჯერ რომ ვეძახით, დიდხანს გვაშტერდება და ვერ ხვდება, რა უნდა ქნას. ხელებიც დასერილი აქვს, ამასწინათ, ჭუჭყიანი შუშებით 30-მდე ჭრილობა მიიყენა. თუ არ სჯერათ, შეამოწმონ და გამოიკვლიონ ბავშვი და ნახავენ, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. დარწმუნებული ვარ, ბავშვები დასაქმებულები რომ იყვნენ, ასე არ გააკეთებდა, ამას არ ჩაიდენდა. ადგებოდა და რაც დასჭირდებოდა საკუთარი შრომით იყიდიდა. მორწმუნე ბავშვია, წირვებზეც დადიოდა, ამასწინათ აღდგომის და შემდეგ ელიაობის ღამისთევასაც დაესწრო, სახლშიც უამრავი ხატი გვაქვს სალოცავ კუთხეზე გაკრული. არ ვიცი, ახლა გონება რამ აურია... ღმერთმა ასე დაგვტანჯა, გაჭირვებას ეს მოჰყვა. იქნებ აპატიონ ამ სიღარიბის გამო, პატრიარქმა ან მეუფემ, ან ვინმემ იქნებ შეიფაროს, კალთა გადაიფარონ, რომ მდგომარეობიდან გამოიყვანონ ბავშვი. ჩემი კიდევ ერთი შვილიც დაკავებულია, ის ეპილეფსიითაა ავად. ახლობლისგან 20 ლარის ღირებულების ჯართი წამოიღო, თუმცა მათ ეს მილები 100 ლარად შეაფასეს და ამიტომ დააპატიმრეს,“ - აღნიშნავს დაკავებულის დედა.

დარწმუნებული ვარ, ბავშვები დასაქმებულები რომ იყვნენ, ასე არ გააკეთებდა, ამას არ ჩაიდენდა. ადგებოდა და რაც დასჭირდებოდა, საკუთარი შრომით იყიდიდა. მორწმუნე ბავშვია, წირვებზეც დადიოდა, ამასწინათ აღდგომის და შემდეგ ელიაობის ღამისთევასაც დაესწრო, სახლშიც უამრავი ხატი გვაქვს სალოცავ კუთხეზე გაკრული. არ ვიცი, ახლა გონება რამ აურია...

მიუხედავად იმისა, რომ 11 სულიანი ოჯახი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სტატუსს ატარებს, დაკავებული არც ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს ფლობდა, რის გამოც უსახსრობის გამო ვერც ექიმებთან ვიზიტს ახერხებდა. გაზეთ „შირაქის“ კითხვაზე, რატომ ცხოვრობენ სოფლის აბანოს შენობაში, მრავალშვილიანი დედა პასუხობს, რომ თავად ამავე სოფელშია დაბადებული და გაზრდილი. მას შემდეგ, რაც დაოჯახდა, მისი მეუღლეც მრავალშვილიანი ოჯახის წევრი იყო, თავშესაფარი არც მას გააჩნდა და ამიტომ მშობლიურ სოფელში დაბრუნება ამჯობინეს. დიდხანს მოუხდა მაშინდელი ხელმძღვანელების დარწმუნება, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ყოფილი აბანოს შენობა მათთვის დაეთმოთ.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, სსსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც 3-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველო აწარმოებს.

გაზეთი „შირაქი“ ადგილობრივი მოსახლეობის აზრის შესწავლის მიზნით სოფელ სამრეკლოს გასულ კვირას სამჯერ ეწვია. ჩადენილ დანაშაულს არავინ ამართლებს, თუმცა, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, გამოკითხული

მოსახლეობის უმრავლესობა მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასმის დროს შელავათების გათვალისწინების აუცილებლობას ხედავს. ამ საკითხში სოფელი ერთსულოვანია, რომ ფოცხვერაშვილების შემთხვევა განსაკუთრებულია და სამართალდამცველების მხრიდანაც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, სიღნაღის სასამართლომ 12 აგვისტოს სხდომაზე დააკმაყოფილა სიღნაღის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობა და ფოცხვერაშვილს 40 დღით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია 21 წლის აკაკი ფოცხვერაშვილის გათავისუფლებას ითხოვს. შესაბამისი განცხადებით ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკ ხაჩიძემ ძალოვან უწყებებს მიმართა. მიმართვა საგამოძიებო მასალებს დაერთო. სპეციალურ განცხადებაში მეუფე მელქისედეკი წერს, რომ დაკავებული სასჯელისგან გათავისუფლდეს და სულიერი ცხოვრების წარმართვისათვის მონასტერს მიეგბაროს. იქვე ნათქვამია, რომ ეპარქიას, რომელიც გამოძიებამ დაზარალებულად სცნო, არ აქვს პრეტენზია და არ სურს მისი სისხლის სამართლის წესით დასჯა.

მამა ონოფრე წულაძე (ეპარქიის ილუმენი): „რა თქმა უნდა მომხდარმა ფაქტმა და ეკლესიის გატეხვამ ყველა მათგანი შეგვაწუხა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ეს უკიდურესად გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა ჩაიდინა და უმნიშვნელო თანხაა წაღებული, გადავწყვიტეთ, რომ მის სულიერ აღზრდაში ჩავებათ. როდესაც პროკურატურამ ჩვენი ეპარქია დაზარალებულად ცნო, ეპარქიის ეპისკოპოსმა გამოძიებასთან ჩვენების მიცემის დროს გააკეთა განცხადება, რომ ჩვენ არ გვაქვს ასეთი მოთხოვნა, რომ ეს პირი აუცილებლად სისხლის სამართლის წესით დაისაჯოს და საპყროებილეში განამწესონ. ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ სწორ ქრისტიანულ გზას დაადგეს...

თუკი იქნება შესაძლებელი და თუკი შესაბამისი უწყებები გაითვალისწინებენ ეპარქიის მოთხოვნას და აარიდებენ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მეუფის კურთხევით მე პირადად ამ ადამიანს მონასტერში წავიყვან და შევეცდებით, რომ სინანულის გრძნობით ის სწორ გზაზე დავაყენოთ. ასეთი გახლავთ ეპარქიის პოზიცია“.

სიღნაღის რაიონულმა პროკურორმა თენგიზ ჩიტიაშვილმა განაცხადა, რომ ბრალდებულმა დანაშაული როცა ჩაიდინა, პირობითი მსჯავრის ქვეშ იყო. პროკურორის ცნობით, დაკავებული ორჯერ არის ნასამართლევი ქურდობაზე.

„რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს საკითხი ამ დრომდე არ გამხდარა განხილვის საგანი... ავად კი გახდა და სასწრაფოც გვყავდა გამოძახებული, სანამ დაკავებულს ციხეზე გადაიყვანდნენ. ეპისკოპოსს კი ჩვენთვის არ მოუმართავს. მე არ მიმაჩნია მართებულად, მისთვის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება“, - აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

(გაგრძელება გვ 8)

მკლავჭიდელთა სენსაციური შედეგი

2013 წლის 3-4 აგვისტოს, ბათუმში, ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის გამარჯვებულის თემურ ლიპარტაშვილის რიგით მეხუთე ღია რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა რეგიონის სორტსმენებმა.

ტურნირი ჩატარდა მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით, ორ ასაკობრივ ჯგუფში — 21 წლამდე და უფროსი ასაკის მკლავჭიდელთა შორის, როგორც მარჯვენა მკლავში, ისე მარცხენაში. ახალგაზრდებს შორის შეჯიბრი გაიმართა — 65, 75, 85 და მძიმე წონით კატეგორიებში, ხოლო უფროსი ასაკის მკლავჭიდელთა შორის — 55,65,75,85 და მძიმე წონით კატეგორიებში.

როგორც დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, ტურნირზე სენსაციური შედეგები დადეს დედოფლისწყაროელმა სპრტსმენებმა. 21 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

55 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა - ტარიელ ღუდუშაურმა (ზემო ქედი) მემარცხენეთა შორის. 65 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა-ლევან დავითურმა (არხილოს კალო) მემარჯვენეთა შორის. ასევე, 75 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა — გელა ნეკრესელაშვილმა (ზემო ქედი) მემარჯვენეთა შორის.

85 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა — ზაზა კობაიძემ (არხილოსკალო) ორივე ხელით, მან მოიპოვა ორი ოქროს მედალი, შემდეგ გააგრძელა ასპარეზობა აბსსოლიტურ წონით კატეგორიაში, სადაც ასევე, ორივე ხელში, დაიკავა III ადგილი და მოიპოვა ორი ბრინჯაოს მედალი. ზაზა კობაიძე დასახელდა ტურნირის ყველაზე საუკეთესო და შედეგიან მკლვჭიდელად.

უფროსი ასაკის მკლავჭიდელთა შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: 65 კგ. წონით კატეგორიაში რეზო გოგიაშვილმა, მემარჯვენეთა შორის დაიკავა I ადგილი, ხოლო II ადგილი მემარცხენეთა შორის (ზემო ქედი).

85 კგ. წონით კატეგორიაში, მკლავჭიდელთა მწვრთვნელმა — გელა ბექაურმა დაიკავა III ადგილი, მემარჯვენეთა შორის. სამი ოქროს, ოთხი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი — ამ ბრწყინვალე შედეგით, დაბრუნდნენ მკლავჭიდელები დედოფლისწყაროში.

ირაკლი ღარიბაშვილი ჩემპიონ სპორტსმენ პოლიციელებს შეხვდა

15 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ — ზე გამარჯვებულ სპორტსმენ პოლიციელებს შეხვდა და გამარჯვება პირადად მიულოცა. შს მინისტრმა ჩემპიონ პოლიციელებს I და II ხარისხის მედლები — „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“, მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

შს მინისტრის ინიციატივით, საქართველო წელს, პირველად გაემგზავრა ოლიმპიადაზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ, სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება და პოლიციელების ფიზიკური მონაცემების გაუმჯობესებასა და პროფესიული უნარჩვევების გაღრმავებაზეა ორიენტირებული.

შს სამინისტროს 16-მა თანამშრომელმა 1-12 აგვისტოს ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში გამართულ „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადა“-ზე სპორტის 7 სახეობაშის იასპარეზა და 12 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ქართველმა პოლიციელებმა, რომლებსაც წარმატებული სპორტული კარიერა ჰქონდათ და დღესაც აქტიურად არიან ჩაბმული სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ოლიმპიადის განმავლობაში მსოფლიოს მოქმედ და ყოფილ ჩემპიონებს შეხვდნენ და საპრიზო მედლები მოიპოვეს: კრივში ოქროსმედალოსანმა ედუარდ იმერლიშვილმა, რომელიც შს მინისტრის პირადი დაცვის წევრია, ფინალურ ორთაბრძოლაში ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა; ასევე დაძაბული ბრძოლა ჰქონდათ მეტოქეებთან ძიუდოისტებს და მკლავჭიდელებსაც, რაც ქართველი სპორტსმენი პოლიციელების გამარჯვებით დასრულდა.

ოქროს მედალოსნები: ედუარდ იმერლიშვილი - კრივი, ზვიად ჩინჩალაძე - ძიუდო, ნოდარ მჭედლიშვილი — ძიუდო, ზაზა გულაშვილი — ძიუდო, გიორგი ბოლოთაშვილი — ძიუდო, იოსებ ხუციშვილი - თავისუფალი ჭიდაობა, თენგიზ ედილაშვილი - მკლავჭიდი (2 მედალი), ვლადიმერ კობახიძე - მკლავჭიდი (2 მედალი), ლევან საგინაშვილი - მკლავჭიდი (2 მედალი); ვერცხლის მედალოსნები: გიორგი ბერძენიშვილი - ცურვა (კროლი), უშანგი კუზანაშვილი - ძიუდო, ვასილ მინდორაშვილი - ძალოსნობა; ბრინჯაოს მედალოსნები: ავთო მამალაძე - ძალოსნობა, გელა გელაშვილი - მკლავჭიდი.

ხვიჩა ქოქუაშვილმა დაულალავი შრომით სპორტული მიღწევების გალერეა შექმნა

ჯერ კიდევ მთლად პატარა ვიყავი, როცა რაიონში ჩატარებული კიკბოქსინგის შეჯიბრებებზე მამას დავყვებოდი. მიხაროდა, როცა დარბაზში თავმოყრილი ხალხი ტაშით და ოვაციებით ხვდებოდა დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს და გამარჯვებისას მქუხარე შეძახილებით აცილებდნენ ბიჭებს და გოგონებს და მერე მათ შესახებ დიდხანს საუბრობდნენ, იხსენებდნენ ჩატრებული ორთაბრძოლების და მიღებული შთბეჭდილებების შესახებ. ჩემი პატარაობის მახსოვრობით რაც შემომრჩა გამორჩეულად და დღესაც მეორდება შეჯიბრებებზე სპორტსმენის სახელი და გვარი, ხვიჩა ქოქუაშვილი.

ხვიჩა სოფელ სამრეკლოდანაა, მისი მშობლები გოჩა და ნინო ქოქუაშვილები ყველასთვის საყვარელი ხალხია, ფუტკარივით მშრომელი და პატიოსანი, რის გამოც მათ დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ. უმრავლოს საქართველოს მსგავსი ოჯახები.

ხვიჩამ კიკბოქსინგში ვარჯიში 8 წლის ასაკიდან დაიწყო. თამაზ ყარაგვეზაშვილის გუნდ „ჩემპიონში“, ამიტომაც პირველივე კითხვით მას მივმართეთ და ხვიჩას დახასიათება ვთხოვეთ.

თამაზ ყარაგვეზაშვილი: — „ხვიჩა დარბაზში რომ მოვიდა, ძალიან წყნარი ბავშვი იყო და ზედმეტად მის ხმას ვერ გაიგონებდით, ვარჯიში არ ეზარებოდა და ყველაფერს გულით აკეთებდა. უფროსი ასაკის ბიჭებმა მალევე შეიყვარეს, მისი შეუპოვარი და უმიშარი თვისებების გამო ვარჯიშის დაწყებიდან ერთ წელში ხვიჩამ პირველი ორთაბრძოლა ჩაატარა და მივხვდით, რომ კარგ სპორტულ მონაცემებთან ერთდ, მებრძოლი სულიც ჰქონდა. გავიდა დრო და ხვიჩამ დაუღალავი შრომით შექმნა საუკეთესო სპორტული მიღწევების გალერეა,“ — იხსენებს ხვიჩას მწვრთნელი.

ხვიჩა ქოქუაშვილის მიღწევები ასე გამოიყურება: ჩემპიონი კიკბოქსინგში, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირების გამარჯვებული, საქართელოს ჩემპიონი კრივში, პროფესიონალურ კიკბოქსინგში სარეიტინგო ბრძოლების გამარჯვებული და საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის მონაწილე, სატელევიზიო პროექტი **K-1**–ის გამარჯვებული, ტაილანდურ კრივში საქამრე ბრძოლაზე მსოფლიო ჩემპიონატის პრეცენდენტი.

დღეს ხვიჩა კვლავ სპორტულ ფორმაშია და აგრძელებს სპორტულ კარიერას. წინ მრავალი საინტერესო და რთული პროექტია განსახორციელებელი. ხვიჩას გამოსვლას რინგზე მაყურებელი მუდამ დიდი ინტერესით ელის და დაძაბული ორთაბრძოლის მოლოდინშია.

– რომელ მომენტს გაიხსენებდით ყველაზე საინტერესოდ?

– ხვიჩას არასოდეს ჰქონია უემოციო და სუსტი ორთაბრძოლა, მაგრამ გამოვყოფდი აზიის ჩემპიონატს ირანში ქ. ისპაჰანში, სადაც მრავალათასიანმა აუდიტორიამ პირველივე დღიდან მოინონა ხვიჩას გამოსვლა, სადაც მონღოლი მოწინააღმდეგე ნოკაუტით დაამარცხა და შემდეგ გამოსვლაზე ერაყელ მებრძოლთან ტაშით და ფეხზე ადგომით შეხვდნენ. შეჯიბრზე დამსწრე ფერეიდნელმა ქართველებმა „ხვიჩა“-ს შეძახილებით აიყოლიეს დარბაზი და სხვადასხვა ეროვნების ხალხი გულში იხუტებდა ჩვენს სპორტსმენს. იქაურმა ქართველებმა ირანული პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად დოლზე ქართული დაუკრეს და სანამ დოლს ნაართმევდნენ, დაუვიწყარი ემოციები შეიქმნა. ირანული პრესა რიგრიგობით თარჯიმნის მეშვეობით ინტერვიუს იღებდა დედოფლისწყაროელი მებრძოლისგან.

შეჯიბრზე დამსწრე ფერეიდნელმა ქართველებმა „ხვიჩა“-ს შეძახილებით აიყოლიეს დარბაზი და სხვადასხვა ეროვნების ხალხი გულში იხუტებდა ჩვენს სპორტსმენს.

მის მიერ ჩატარებული შეჯიბრებებიდან უამრავი საინტერესო ეპიზოდის გახსენება შეიძლება.

მისი პატარაობისას, როდესაც რაიონში ხშირად ვატარებდით შეჯიბრებებს, სტუმარ გუნდს ჩამოჰყვა მძიმე კატეგორიის სპორტსმენი და უბრძოლველად რომ არ დარჩენილიყო, რა თქმა უნდა, მეტოქედ ხვიჩას ჩავუსვავდით ხოლმე. წონაში სხვაობა ხან ათ კილოგრამამდე იყო. საყურადღებოა, რომ არცერთი ასეთი რძოლა არ წაუგია, პირიქით, აშკარა უპირატესობით ამარცხებდა და მშვიდად, აღელვების გარეშე გადაეხვეოდახოლმე მოწინააღმდეგეს. ზოგადად, ხვიჩას ახასიათებს რაინდული დამოკიდებულება ორთაბრძოლაში. არასოდეს არ დაუჩაგრავს მას თავისზე სუსტი და დაუცველი სპორტსმენი,“ — ამბობს თამაზ ყარაგვეზაშვილი.

სამწუხაროდ, ხვიჩა ქოქუაშვილი მოულოდნელად 2008 წლის აგვისტოს მოვლენების თანამონაწილე გახდა. მაშინ ის სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდიდა და ცხინვალის საბრძოლო ოპერაციებში ჩართვა მოუხდა. აქვე დაკარგა საუკეთესო საბრძოლო მეგობარი და თანასოფლელი, გიორგი აბიათრი, რამაც შეუხორცებელი იარა დაუტოვა მის ჭაბუკურ სულს. ამ დღეებს დღემდე მძიმედ იხსენებს.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ ხვიჩა ისევ სამშობლოს სამსახურში აგრძელებს ყოფნას და მუშაობას იწყებს შსს სასაზღვრო პოლისიის მე-4 სამმართველოში, ხვიჩა აქაც ყველას უყვარს და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის დაჯილდოებულია სიგელით.

სასაზღვრო სამმართველოს ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, ორიოდ სიტყვით ხვიჩა დაეხასიათებინათ:

დავით ჯალიაშვილი *(მე-4 სამმართველოს უფროსი):* „მოხარული ვარ, რომ ჩენი მესაზღვრეები ასე აქტიურად არიან სპორტში ჩაბმულნი, განსაკუთრებით კი კიკბოქსინგში. გვყავს საკმაოდ ტიტულოვანი სპორტსმენები. ხოლო, რაც შეეხება ხვიჩას, ის ჩვენი საუკეთესო თანამშრომელიცაა და სახელოვანი კიკბოქსინგელიც. ის თავისი ცხოვრების წესით სანიმუშო ადამიანია და მოვუწოდებდი ყველა ახალგაზრდას, მისთვის მიებაძა“.

რამაზ ოზგეთელაშვილი *(სასაზღვრო პოლიციის მობილური ოცეულის მეთაური):* „ხვიჩა ქოქუაშვილი ჩვენი სამმართველოს ერთ—ერთი საუკეთესო თანამშრომელია. ის დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ეკიდება და გამოირჩევა კეთილსინდისიერობით, წესიერებით და მეგბრებისადმი უშუალო დამოკიდებულებით. შესანიშნავად ფლობს საბრძოლო იარაღსაც და, რაც დასაფასებელია, ის აგრძელებს სპორტულ მოღვაწეობას და როგორც რაიონის ასევე სამმართველოს რეპუტაციას და სახელს იცავს“.

მე კი არ შემიძლია არ გავიხსენო, სულ ახლახანს დამთავრებული „შავი ზღვის თასის“ ტურნირზე მომხდარი სახალისო შემხვევა. ტურნირის დამთავრებისთანავე დედოფლისწყაროს გუნდი დაჯილდოვდა გუნდური პირველი ადგილით, გახარებული სპორტსმენები ბათუმის ბულვარში გავეშურეთ. ერთ ადგილას ხალხი იყო შეკრებილი და სპეციალურ ხელსაწყოზე ძლიერი დარტყმით პრიზები თამაშდებოდა. ანუ ვინც შეძლებდა უმაღლესი ქულა ეჩვენებინა ტელეფონს მოიგებდა. იმ მომენტში რაც იქ ვიყავით, უამრავმა ახალგაზრდამ მოსინჯა ძალა შეძლებისდაგვარად მოქნეული მუშტით, მაგრამ ხელმოცარულები რჩებოდნენ. ჩვენ ხვიჩას ვთხოვეთ, ეცადა ბედი. მან ხათრიანად უარი თქვა მაგრამ აღარ მოვეშვით და... ახლაც თვალწინ მიდგას დარტყმის შემდეგ როგორ ჩაჩუმდა ხალხი, ხვიჩამ სწრაფად მოქნეული მარჯვენა პირდაპირი დარტყმით მაჩვენებელი უმაღლეს ქულას ააცილა, მოხსნა დაწესებული რეკორდი და „სამსუნგის“ მარკის ტელეფონი მეპატრონემ უხალისოდ გამოაძვრინა კარადდან და გვთხოვა თქვენი ჭირიმე აქედან რაც შეიძლება მალე გაბრუნდით, თორემ გავკოტრდებიო.

რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, იგი დაოჯახებულია ჰყავს მეუღლე ვერიკო და 1 ვაჟი — ლაშა.

ვუსურვოთ ჩვენს სხელოვან სპორტსმენს, ხვიჩა ქოქუაშვილს წარმატებები და წინსვლა ცხოვრებაში. იმედია, მალე ახალი სპორტული მონაპოვარით გაახარებს გულშემატკივარს.

ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

მარიამობის მარხვა

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება, რამეთუ იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული. ეკლესიაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დედას ღვთისას. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი - ღვთისმშობლის შობა, მიძინება (რომელსაც ეკლესია მარხვით ხვდება) და ყოვლადწმიდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

მარიამობის მარხვა 1(14) აგვისტოდან იწყება და 15(28) აგვისტოს მთავრდება. ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია, უცნობია აგრეთვე, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული.

წმინდა მამათა ნაშრომები, სადაც ღვთისმშობლის მიძინებაზეა საუბარი, IV საუკუნის ბოლოს არ სცილდება. ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთი ნეტარ იერონიმეს მიეწერება. სხვა ცნობა, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, იერუსალიმის ეპისკოპოს მოდესტის ეკუთვნის. მიძინების დღესასწაულისადმია მიძღვნილი საეკლესიო საგალობლები, რომლებიც კოზმა მაიუმელსა (VII ს.) ად იოანე დამასკელს (VIII ს.) მიეკუთვნება. შემორჩენილია V საუკნეში მოღვაწე ანატოლი პატრიარქის ერთი საგალობელიც.



საეკლესიო მოღვაწე ნიკიფორე კალისტას ცნობით, მიძინების დღესასწაულის აღნიშვნა მავრიკიოსის მეფობის დროს დაწესებულა (უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ დროს უკვე არსებული დღესასწაულის აღნიშვნა დაკანონდა).

როგორც საისტორიო წყაროები და სამართლებრივი ძეგლები გვაუწყებენ, საუკუნეების მანძილზე მარიამობის მარხვის შენახვა ყველა ავტოკეფალური ეკლესიის ტრადიციას არ წარმოადგენდა. მსოფლიო მართლმადიდებელმა სამყარომ დღესასწაულის საყოველთაო აღნიშვნა მოგვიანებით, დაახლოებით X-XI საუკუნეებიდან დაიწყო. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ანტიოქიის ეკლესიაში მიძინების მარხვა 1060 წელს პატრიარქ იოანესა და იმპერატორ კონსტატინე დუკას გადაწყვეტილებით დადგინდა.

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში კონსტანტინოპოლის ცნობილი პატრიარქი ბალსამონი სამწყსოსადმი მიძღვნილ ეპისტოლეში მიძინების მარხვის შენახვის აუცილებლობის შესახებ წერდა.

ანასტასი კესარიელის ცნობით კი, მარიამობის მარხვა საყოველთაო მას შემდეგ გამხდარა, რაც საყოველთაოდ იქცა მიძინების დღესასწაულის აღნიშვნა (ეს დაახლოებით VI საუკუნეში, ლეონ ფილოსოფოსის მეფობის დროს მომხდარა), ე.ი. რაც ამ დღესასწაულმა საეკლესიო კალენდრებში კუთვნილი ადგილი დაიკავა.

უფრო ადრე ქრისტიანულ ეკლესიაში, მათ შორის ანტიოქიაშიც, ამ მარხვას კი ინახავდნენ, მაგრამ იგი სავალდებულო არ იყო, ამასთან, ხშირად განსაზღვრული არც მარხვის აღნიშვნის ზუსტი კალენდარული დრო გახლდათ - იგი ინდივიდუალურად, მწყემსმთავართა ლოცვა-კურთხევით აღესრულებოდა. იერუსალიმის კანონში მარიამობის მარხვა რვა დღით შემოიფარგლება, სტუდიის მონასტრის ტიპიკონით კი ოთხი დღე გრძელდებოდა.

რაც შეეხება დღეისათვის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებულ მარხვას, იგი 1166 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე „ძველ განწესებათა თანახმად“ დაკანონდა. კრების თავმჯდომარე პატრიარქი ლუკა ყოფილა. ამ კრების შესახებ ბალსამონი წერს: „იმ დროისათვის ორჭოფობდნენ, თუ რამდენი დღე უნდა გაგრძელებულიყო მიძინებისა და შობის მარხვები, რაზეც წმიდა პატრიარქმა დაამოწმა: „მართალია, წერილობით არსადაა დაფიქსირებული ამ მარხვების ხანგრძლივობა, მაგრამ გადმოცემის საფუძველზე ერთი - პირველ (15) აგვისტოს, მეორე კი თხუთმეტ (28) ნოემბერს უნდა დაიწყოს“.

რას გვეტყვი, მამაო?

რა ვნება მოაქვს მშობლების ბრმა სიყვარულს შვილების მიმართ?

ბევრ მშობელს, შვილის სიყვარულით დაბრმავებულს, ენანება იგი დანაშაულის ჩადენისათვის დასასჯელად, ინდობს, მაგრამ შემდგომში, როდესაც შვილები იზრდებიან და გამოუსწორებელი ხდებიან, თავად აღიარებს საკუთარ შეცდომას. ამას გარდა, ბავშვებს გადაჭრით უნდა აეკრძალოთ ურთიერთობა და მეგობრობა ავი ზნის თანატოლებთან, რადგან უკეთურება თვით კეთილგონიერებაზეც კი ახდენს გავლენას; მშობლებიც უნდა გაფრთხილდნენ, რათა მათგან ბავშვებს საცდური არ მიეწოდოთ რაიმეთი.

შეცდომა, რომელიც დავუშვი, მოვინანიე უკვე მამაოსთან, მაგრამ საშინლად მაწუხებს დანაშაულის გრძნობა, რომ არცერთმა ჩემმა ახლობელმა და ოჯახის წევრმა ამის შესახებ არაფერი იცის. ჩემგან ვერ წარმოიდგენენ ასეთ რამეს. მაგრამ უშეცდომო ხომ არავინაა ამქვეყნად. არ ვიცი რა გავაკეთო, ყოველდგე ვფიქრობ ჩემს შეცდომაზე. იქნებ მირჩიოთ რამე.

აღსარებაში ნათქვამი ცოდვა არ მოგეკითხებათ ღვთის სამსჯავროზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას მეხსიერებიდან წაშლით. თუ ეს ცოდვა კვლავ გაწუხებთ, ეს არც ისე ცუდია, რადგან სინანულის გრძნობა განმწმენდელია, მაგრამ ეს არ უნდა გექცეთ სასოწარკვეთილებად. თქვენი ნუგეში აღსარება და ღვთის კაცთმოყვარეობაა.

მყავს ერთადერთი ვაჟიშვილი. უკვე 40 წლის შესრულდა და არ ქორწინდება. აქვს უმაღლესი განათლება, არსად არ მუშაობს და არც ფიქრობს მუშაობის დაწყებას. დროს ქეიფსა და ღვინის სმაში ატარებს. მასზე მშობლებისა და ახლობლების დარიგება არ ჭრის. რას გვეტყვი, მამაო?

უდიდესი ძალა აქვს დედის ლოცვას. საკმარისია, თქვენ დაიწყოთ ეკლესიური ცხოვრება - ლოცვით, მარხვით, აღსარებით, ზიარებით, რომ თქვენს ლოცვას ცხოველი ძალა მიენიჭება და უთუოდ იგრძნობთ ღვთის შეწევნას.

როდესაც მაბრაზებენ, ხშირად თავშეუკავებლობას ვიჩენ ხოლმე. ხომ არ მირჩევთ თავის დაოკების საშუალებას?

ვიდრე სიტყვას იტყოდეთ ან რაიმეს ჩაიდენდეთ, გაჩერდით ხუთი წუთი და თქვით გულში იესოს ლოცვა.

როდესაც სხვებთან ერთად ვლოცულობ, შეიძლება თუ არა სულის შინაგანი მოძრაობები გარეგნულადაც გამოვხატო?

როდესაც ჩვენ სხვებთან ერთად ვლოცულობთ, საკმარისია, გულითა და გონებით გამოვხატოთ უფლის წინაშე სულის შინაგანი მოძრაობა და არ მივიღოთ სევდიანი, გნებავთ, მტირალი გამომეტყველება, რათა მავანთაგან არც განსაკუთრებული პატივი დავიმსახუროთ და არც დაცინვა, - და ამით ავიცდინოთ შინაგანი უხერხულობის განცდა. მაგრამ, როდესაც ჩვენ მარტონი ვართ და სხვები ვერ გვხედავენ, მაშინ სახეც შეიძლება შევიცვალოთ ლოცვის შესაბამისად, ხმაც შეგვიძლია დაგვისევდიანდეს, ცრემლიც შეიძლება გადმოგვცვივდეს, ხელებიც შეგვიძლია ზე აღვაპყროთ და მიწასაც ვეამბოროთ.

ეთვლება თუ არა ცოდვად ფეხმძიმე ქალს, რომ არ შეინახოს მარხვა ოთხშაბათ-პარასკევის გარდა?

ამ საკითხს ქალი არკვევს მოძღვართან და მისი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია.

ახლობელ ადამიანებზე და უცხოებზე მაქვს ჩემ-და უნებურად საშინელი ფიქრები , რას მირჩევთ?

ამ ფიქრებს უნდა დაუპირისპიროთ ლოცვა. უნდა დაიწყოთ ეკლესიური ცხოვრება, ხოლო მოძღვარი გასწავლით ლოცვების ძალას.

დაგვიანებული მადლობა

ექიმ-ენდროკრინოლოგ მარიკა პაპუაშვილის თბილი, გულისხმიერი დამოკიდებულების შემდეგ გადავწყვიტე, საავადმყოფოში დავწოლილიყავი. ცოტა შეშინებული ვიყავი, ისეთი აზრები მოვისმინე საავადმყოფოზე, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც იმედით შევდგი ფეხი შენობაში.

როგორ არ უნდა გადავუხადო მადლობა ისეთ საყვარელ ადამიანებს, რომელთაც არ მოუკლიათ ჩემთვის ყურადღება და სითბო: ექთან მაკა მოსულიშვილს (3 შვილი), შორენა გოგოჭურს,, ეკა ბოჭორაძეს (2 შვილი), პრაქტიკანტ მარიამ ხარებაშვილს. საყვარელი ექიმის მარიკა პაპუაშვილის ყურადღებამ იმედი გამიჩინა, რომ აღარ მოვკვდებოდი.

ერთის მჯერა, როცა ისინი ჰიპოკრატეს ფიცს სდებდნენ, ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ უხელფასოდ იმუშავებდნენ. ღმერთმა ქნას, შეჩერდეს ეს გაუგებრობა. მათ უკან ხომ შვილიშვილები, შვილები, ოჯახები დგანან.

მადლობა მინდა გადავუხადო ექიმ ეთერ დათუკიშვილს, ციცო ბეგაშვილს ყურადღებისა და იმ გულწრფელი სითბოსთვის, წამლებზე მეტად მალამოსავით რომ დაედო ჩემს ავადმყოფობას და გულს.

ასეთი სითბო ჩვენ, მოხუცებს გვსიამოვნებს, მითუმეტეს ჩვენ, „უფასო პაციენტები“ მხოლოდ მადლობით ვიხდით მათ ამაგს.

როგორ უნდა ინატრო ადამიანმა საავადმყოფოში დაწოლა, მაგრამ ასეთ თბილ გარემოცვაში დიდი სიამოვნებით გავატარებდი კიდევ 3 დღეს.

პატივისცემით,
73 წლის პაციენტი
ნანა დარჩია.

გამოსათხოვარი



გივი ნატროშვილი

„მოგონებებს იწვევს გრძნობა...“

წახვედი, გივი, და დაგვიტოვე ტკივილი, სევდა. დრო მკურნალიაო, უთქვამთ, მაგრამ არა და არა!... დღეები გადის და უფრო და უფრო ძლიერდება შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, შეხორცების ნაცვლად ჭრილობა იზრდება და მოუშუშებელი ხდება.

თვალს და ხელს შუა გაქრა სოცოცხლე,
ამქვეყნად თითქოს გუშინ მოხვედი
გაფრინდა წლები, თან გაიყოლა,
ცხოვრება, „ლურჯად ნახავერდები.“

მართლაც, გაფრინდა წლები სიხარულის, სილაღის, ბედნიერების და მოულოდნელად მოვიდა ცხოვრების დასასრული, ნაპირი...

მოგონებები მიპყრობს, ერთმანეთს კინოკადრებივით ენაცვლება ერთად გატარებული 38 წლის თითოეული დღე, საათიც კი...ცხოვრების ურთულეს გზაზე, ერთ უღელში შებმულებს არაერტი გაწირვებისა და დარდისთვის გაგვიძლია, ლამაზი დღეებითაც არაერთხელ დავმტკბარვართ... მაგრამ ფერადი სიზმარივით ყველაფერი გაქრა...სიკვდილის კარი ვერ ჩაგირაზე, ვერ დაგეხმარე, ვერ გიშველე, უძლური აღმოვჩნდი ვერაგ ავადმყოფობასთან ჭიდილში.

ცხოვრება არ არის დამდგარი ტბა. ის მდინარეა, რომელიც მაშინაც კი ჩქარა მიდის, როდესაც გაჩერებული გვეჩვენება. ცხოვრების გზაზე ზოგიერთი მოვლენა უკვე წარსულს ეკუთვნის. შენც წარსულად იქეცი, ჩვენი იჯახის ბურჯო და ბალავარო! შენ რომ ამქვეყნად მხოლოდ იმისთვის მოხვედი, რომ ადამიანები გყვარებოდა, მადლი გეთესა. მოყვასის სიყვარული და სიკეთის ქმნა შენი უპირველესი საქმიანობა იყო. სადაც იმუშავე, სადაც მიხვედი, ყველგან კაი კაცის სახელი დატოვე. უწყინარი, თავმდაბალი, ალალმართალი, თბილი, კეთილი, ერთგული და გულისხმიერი, იუმორის გრძნობით სავსე, -აი, შენი საუკეთესო თვისებების არასრული სია.

არცერთ ადამიანს სამარადისო მნიშვნელობა არ აქვს, ბოლოს ყველაფერი ქრება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველივე ამაო და ფუჭი იყოს.აწმყო წარსულის ნაყოფია და ხიდია მომავლისა. შენგან გადებულ ხიდს შენი შვილები არ ჩატეხენ, არ შეგარცხვენენ, ტრადიციას არ ურალატებენ და შენებურად კეთილი გულით იცხოვრებენ, სიკეთეში დაიხარჯებიან.

მიწიერი ცხოვრებიდან მარადიულ სასუფეველში გადასახლებულო გივი, სამუდამოდ არ გემშვიდობები, რადგან სულთა უკვდავების მწამს და მჯერა, რომ ერთმანეთს კვლავ შევხვდებით ზეციურ სამყაროში... მანამდე კი ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მივხედავ, შენობასაც გავწევ და ჩემობასაც.

ნათელში გევლოს, გივი, სამოთხეში დაგედოს ბინა, თავად სიკვდილში გეპოვოს სიცოცხლის დაუსრულებლობა!

მაყვალა პაპუაშვილი

ეკლესიას შეხირული ფული და კუჭის ფილოსოფია

(მეხუთე გვერდიდან)

მომხდარი ფართო განხილვის საგნად იქცა გაზეთ „შირაქის“ ფეისბუქ გვერდზეც, სადაც დისკუსიაში როგორც აქ მყოფი, ისე საზღვარგარეთ და სხვა ქალაქებში გაფანტული დედოფლისწყაროელები აქტიურად ჩაებნენ და საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს. დიდი ნაწილი შეღავათებს ითხოვს.

ნუნუკა ჭიკაშვილი: „ვფიქრობ, იცის საზოგადოებამ ამ ადამინის პიროვნული თვისებები და ხასიათის სტრუქტურა, ამდენად ამის შემდგომ იფიქრეთ, დასასჯელია, თუ არა... ეკლესიაში შემწირველი წირავს და უფლის ტაძრიდან გაჭირვებულმა უნდა მიიღოს შენევნა უფლის სახელით. ამდენად, თუ ასეთი გაჭირვებული და 7 შვილიანია, სიმკაცრე რა მოსატანია, შეღავათები მაქსიმალურად... აუცილებლად უნდა დავეხმაროთ“...

ზურა გოგილაშვილი: „მშიერი და გაჭირვებული ადამიანი სულ ფიქრობს, როგორ გადააგოროს ყოველი დღე. ის შეიძლება მოქმედებდეს ინსტიქტებით, ფაქტიურად გაცხოველებულია. მისთვის აღარ აქვს არაფერს ფასი. ცოდნის შეძენა, განვითარება და სხვა ადამიანური ჩვევები მისთვის აღარ არსებობს. რაც მეტი დრო გავა, მით უფრო შორდება საზოგადოებრივ თანაცხოვრებას... ძნელია, ასეთ ადამიანს აიძულო წესიერად იცხოვროს... ვფიქრობ, პრობლემა სერიოზულია. ამ ხალხისთვის უნდა იყოს პრივილეგირებული საწყის ეტაპზე დასაქმება, სწავლა“.

თემურ პოჭიაშვილი: „მგონი კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს - მინისტრისთვისაც და სოციალურად დაუცველისთვისაც. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ აქვს ამ ხალხს საჭმლის ფული და რატომ ცხოვრობენ ისინი აბანოში - ეს უკვე სახელმწიფოს უუნარობის ბრალია. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ხალხს თავის გადასარჩენად ქურდობა არ დაჭირდეს. ამჯერად ეკლესია გატეხეს და ხვალ თუ ეს ადამიანი სხვას მოპარავს, რა ქნას იმ სხვამ? დღეს საქართველოში არ არის ის მდგომარეობა, რომ მშრომელი და ჯანმრთელი ადამიანი შიმშილით კვდებოდეს.. ევროპაში ქართველი რომ სუპერმარკეტში შედის, დაცვა საგანგებო მდგომარეობაში გადაყავთ, იმდენად გვაქვს სახელი გატეხილი ქართველებს. ეს სენი ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს..

ლალი აბაშიძე: „უნდა შევუნდოთ! ვფიქრობ, სიკეთე უფრო შეაგნებინებს თავის დანაშაულს! უფალიც ხომ მოწყალეა! დავეხმაროთ, დავუდგეთ ერთმანეთს მხარში, გვიყვარდეს ერთმანეთი!

ნინი შანთაშვილი: „ვფიქრობ ,უნდა ჰქონდეს გარკვეული შეღავათები და გაითვალისწინონ ამ ოჯახის მდგომარეობა და შემდეგ ისე გაასამართლონ. კარგი იქნებოდა, რომ დასჯის მაგივრად დაასაქმონ და სამოქალაქო სამსახურში იყოს ჩაბმული. ამით თითონაც ექნება შემოსავალი... რადგან გაბედა და ეს ნაბიჯი გადადგა, ვფიქრობ უკვე უკიდურეს მდგომარეობაში იყო“.

ნელი გოგეჭიშვილი: „ეკლესიებში უნდა დაიდგას უპოვართა დახმარების ყუთი... მამას რაიმე სამსახური, თუნდაც მეეზოვედ მოუძებნონ. დახმარებით კი დავეხმაროთ, მაგრამ მიეცეს საშუალება, თავად არჩინოს ოჯახი. სასჯელი კი კანონმა იცის, არა მგონია, 55 ლარზე რაიმე სერიოზული სასჯელი იყოს. თუ გვინდა, რომ კანონიერ ქვეყანაში ვიცხოვროთ, კანონს ნუ გავაუფასურებთ“.

ნონა ჯიგლაშვილი: „ამ ადამიანის საქციელით მე ვფიქრობ, უფალმა ასეთი ადამიანების არსებობა შეგვახსენა და მისი დასჯა კი არა, მათზე ფიქრია საჭირო, რომ

კაცს ლუკმა-პურისთვის ასეთი რამის ჩადენა არ უხდებოდეს! იმდენი დასასჯელი გარეთ ბედნიერად დადის, მათ ვერავინ ამჩნევს და“...

ნელი სეხნიაშვილი: „რა თქმა უნდა, ყველა უნდა დავეხმაროთ და არ უნდა დაისაჯოს. ამ საწყალმა შიმშილის გამო მოიპარა და რა თქმა უნდა, გაუსაძლისი პირობების გამო ჩაიდინა ეს დანაშაული. უნდა მიეტევოს“.

მირაბ ალავერდაშვილი: „ეგ საბრალო, უკვე დასჯილია რაც ჩაიდინა! პოლიტიკაში არ ვერევი, თუმცა, გირგვლიანის და უარესი დანაშაულის ჩამდენი პირები გარეთ დადიან და მაგის დაჭერით რამე შეიცვლებაა? იმას არ ვამბობ, რომ არ არის დასასჯელი, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ზომამდე ვინც მიიყვანა, ის უფრო დასასჯელია! უფრო გაუბედურდება და გაბოროტდება ეს ოჯახი. გაყიდიან სახლ-კარს, ან შვილები დაიწყებენ მოპარვას, რომ ციხიდან დაიხსნან და ერთის მაგივრად ათ ბოროტებას ჩაიდენენ, უფრო სწორედ ჩაადენინებს ისევ ეს პროკურატურა. მაშინ რაიმე იძულებითი სამუშაო დაუნიშნოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, თორემ ეგ ხომ 100 ლარსაც ვერ გადაიხდის.. ისევ უნდა მოიპაროს“...

თეა მანგოშვილი: „არ უნდა დაისაჯოს. გავერთიანდეთ ყველა მათ დასახმარებლად... ღმერთმა შეუნდოს ეს დანაშაული... ყველამ ვიცით, რომ დანაშაული კანონით ისჯება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასჯა არ იქნება საუკეთესო გამოსავალი“..

გიორგი სეხნიაშვილი: „მას ჯერ უნდა უმკურნალონ, მერე კი მსუბუქად დასაჯონ, ხოლო ოჯახს აუცილებლად უნდა დაეხმარონ. მესმის, რომ ყველას გვეცოდება ავადმყოფი, გაჭირვებული და მშიერი ადამიანი, მაგრამ კანონი მასაც უნდა შეეხოს. თუ სამკურნალოა, უმკურნალონ და თუ დამნაშავეა ,დაისაჯოს. ის, რომ გავუშვათ და ღმერთს მივანდოთ მისი ბედი, არამგონია სწორი გამოსავალი იყოს. ასეთი ადამიანებისთვის საუკეთესო გამოსავლის პოვნა ძალიან რთულია“.

ნონა ბენაშვილი: „რას ქვია დასჯა? მშიერი და თანაც შეურაცხადი ბავშვის ციხეში ისევ გამოვება როგორ შეიძლება?“

გვანცა ხუნაშვილი: „უნდა მიეტევოს. სახელმწიფო და კანონები და ეს რაღაც ზოგადი ფრაზები აქ გაუმართლებელია. ძალიან გაჭირვებულები არიან და თითოეულ ჩვენთაგანზე წარმოვიდგინოთ, როგორია ასეთ პირობებში ცხოვრება“.

ილია მარტყოფლიშვილი

ფოტორეპორტაჟი:
ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

ჩვენთან ასე არ ხდება

ჟურნალისტის ჩანაწერები

რამდენიმე დღის წინ, გურჯაანში დიდი ხნის მეგობრის ოჯახში გახლდით მიწვეული, უკვე წლებია, ტრადიციად გვაქვს ქცეული, 9 აგვისტოს მეუღლის მეგობარი ავსტრიიდან ჩამოდის და თავის მეგობარ ოჯახებს მეუღლეებით თავისი შვილის დაბადების დღეზე ეპატიჟება. საუკეთესო მასპინძლობა იცის ამ ოჯახმა, ორისამი დღე გადაბმული ქეიფი. ამჯერადაც ასე მოხდა, ვერ აგიღწერთ, ისეთი ლამაზი დღეები გავატარეთ. მოვაწყვეთ კახეთის ტური და მოვიარეთ მთელი კახეთის მნიშვნელოვანი ადგილები. გასაოცარი ერთი რამ იყო, რითაც განცვიფრება მასპინძლებთანაც ვერ დავფარე.

გურჯაანში, ქალაქის ასფალტიან ქუჩაზე, რომელსაც, თუ არ ვცდები, მარჯანიშვილის ქუჩა ერქვა, დიდი ბალახი იყო მოდებული ასფალტზე და მთელ მიმდებარე ქუჩებზე ასე გრძელდებოდა, როგორც ჩანს მისი გამწმენდი არავინ იყო. გავოცდი და ავღნიშნე კიდეც, ეს როგორ შეიძლება, აქ დასუფთავების სამსახური არ ასუფთავებდეს-მეთქი.

დედოფლისწყაროში ეს საკითხი სხვანაირადაა, „სერვისი 2007“ ქალაქს ასუფთავებს და მათ შორის ასეთ ბალახსაც არ აჩერებენ გზაზე. ეს კიდევ არაფერი, საღამოს მახარაშვილის ძეგლთან ახლოს, შინმოუსვლელთა ობელისკს მივაკითხეთ. მთლად მოუნესრიგებელი და აბალახებული დაგვხვდა მიდამო. ძეგლთან მისასვლელი კიბეები სულ აშლილი და ჩამონგრეული, გზაზე კი, საკანალიზაციო ორმო ღია იყო და ისე ჩაედინებოდა მასში ბინძური წყალი, რაც მოუნესრიგებლობის კიდევ ერთ კერას წარმოადგენდა.

აღშფოთება ვერ დავფარე, ასე არ ეკადრება გურჯაანს, დედოფლისწყაროში შინმოუსვლელთა მემორიალი ბრწყინვალედაა მოვლილი. საღამოობით ოჯახთან ერთად ამ ტერიტორიისთვის არაერთხელ მიმიკითხებია და მოხიბლული ვარ იქ არსებული ბუნებითა თუ სისუფთავით. მართლაც დასვენების საუკეთესო ადგილადაა ქცეული იქაურობა.

გარდა ამისა, ჩვენი ვიზიტისას გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე (სხვათაშორის ახტალა ახლოს იყო იმ ქუჩასთან) მოხდა ინციდენტი, რასაც გაწევ გამოწევა და ქუჩაში დიდი კამათი მოჰყვა. გასაკვირი იცით, რა იყო?! ხალხმა ლამის ერთმანეთი დახოცა, პოლიციის მოძრავი ეკიპაჟი კი იმ ქუჩებზე სამი დღის განმავლობაში ერთხელაც არ გამოჩენილა. იგივე მოხდა თელავში, ბატონიშვილის სასახლესთან, მოედანზე სტუმრობისას, სადაც მექორნილეები შემოვიდნენ, ვიღაც სწრაფად დააქროლებდა მანქანას, ისე, რომ ბავშვები მოვაფარეთ, არაფერი მოხდესო. პოლიცია კი, თელავის ცენტრში არასდ ჩანდა.

ჩვენთან, დედოფლისწყაროში ასეთ რამეს ადგილი არ აქვს, პოლიციის შემოვლითი ჯგუფი რამდენჯერმე აკითხავს ქალაქის განაპირა ქუჩებსაც და ხალხი დაცულად გრძნობს თავს, რაც ჩვენ, უბრალო ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიას გვიქმნის. როგორ უნდა ჩაიაროს დღემ ისე, რომ ორჯერ მაინც არ შემოვიდეს უბანში პოლიციის ეკიპაჟი?! ეს ჩვენთვის უკვე წარმოუდგენელია. ასე, რომ მე, როგორც დედოფლისწყაროელმა, ძალიან ბევრ რამეში ჩემი რაიონის მოწესრიგებულობით დიდი უპირატესობა ვიგრძენი. სასიხარულო განცდაა, როცა ჩვენთან ყველაფერი გაცილებით მაღალ დონეზეა მოწესრიგებული და ეს გარკვეულწილად ჩვენი გამგებლის, ირაკლი შოლაშვილის, ჩვენი პოლიციის სამმართველოს უფროსის გიორგი ბუბუნაურის დამსახურებაა. მადლობა „სერვისი 2007“-ის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს, ასე კარგად რომ ასრულებენ დაკისრებულ მისიას.

ცუდად ნურავინ გამიგებს, მაგრამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ მინდა, ყველგან ისეთივე მოწესრიგებული მდგომარეობა იყოს, როგორიც აქ, დედოფლისწყაროშია. ამ მხრივ ბევრი სამუშაო ელით ჩემს მეგობარ გურჯაანელ კოლეგებსაც. მათ გამოფხიზლებისკენ მოვუწოდებ, რამეთუ, ეს ლამაზი ქვეყანა ჩვენ, ყველამ ერთობლივად უნდა ავაშენოთ. იქ, სადაც ჟურნალისტიც თავისი მოწოდების სიმაღლეზეა, რომელიც შესაბამის უწყებებს ხშირად სიგნალს აძლევს თავისი საგაზეთო მასალით, იქაური სივრცე და გარემოც ყოველთვის მოწესრიგებულია.

ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

ზურა იაკობიშვილს!
ლელა ღირდაღლაძეს!

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას, აკვანთა სმრავლეს, მზეგრძელობას და დღეგრძელობას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი მთელი ცხოვრების მანძილზე. იხარეთ, იბედნიერეთ!

პატივისცემით,
გიორგი და თამუნა იაკობიშვილები, მირიან სულხანიშვილი

იყიდება!

ოროთახიანი ბინა დედოფლისწყაროს მიკრორაიონში, სტალინის ქ№46, ბინა 22, მესამე სართული.
დარეკეთ: 555 38 48 26; 790-504-710

სასწრაფოდ იყიდება!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ოთხსართულიანი კორპუსის მეოთხე სართულზე (ჭერი გაკეთებულია) იყიდება ორი პრივატიზებული, გარემონტებული ბინა: ოთახნახევრიანი და ოროთახნახევრიანი, ერთმანეთის გვერდით. გაყიდვა შესაძლებელია როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკე, ავეჯით ან უავეჯოდ, ავტოფარეხებით.
ბინა უზრუნველყოფილია გათბობით (ბუნებრივი აირი შეყვანილია), ცხელი წყლით, ინტერნეტით.
მსურველები დაგვიკავშირდით:
599 719 888, 571 719 888, 0 356 22 53 33, 0 356 22 31 60.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 19.08	სამშაბათი 20.08	ოთხშაბათი 21.08	ხუთშაბათი 22.08	პარასკევი 23.08	შაბათი 24.08	კვირა 25.08
დღე	23 °	21 °	22 °	22 °	22 °	23 °	24 °
ღამე	20 °	20 °	20 °	21 °	21 °	22 °	22 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K